# დროება

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 267 სამშაბათი, 1 დეკემბერი 1909 წ. № 267

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან (კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ, ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ.—ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა, და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „დროების“ რედაქციაში და კანტორაში ყოველ დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 7 მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაბრუნდება მცირე წერილებს და კორესპონდენციებს არ აბრუნებს. ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. „ДРОЭБА“.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.



სოფიო მიხეილის ასული სულხანიშვილისა დებით და სიძეებით უგულითადეს მადლობას უძღვნის ნათესავთ და ნაცნობთ, რომელთაც უკანასკნელი პატივი სცეს მათ დედას ეკატერინე გრიგოლის ასულის სულხანიშვილისას წერილით, დეპეშით და პირადათ. (1—560—1)

წარმოდგენა № 20. **ქართული თეატრი** წარმოდგენა № 20.

აბონიმენტი 8 დე

ხუთშაბათს, 3 დეკემბერს, 1909 წ. ქართულ დრამატ. საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება პირველად ახალი პიესა **პართენ გოთუასი**.

**პარტიის კაცი?!**

პიესა 4 მოქმედ. პართენ გოთუასი.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი მ. მდივანი, ე. ჩერქეზიშვილი; ბ-ნნი ვ. გამყრელიძე, ბ. გამრეკელოვი, ნ. გვარამძე, ი. გრიშაშვილი, ი. ივანიძე, ი. იმედაშვილი-ხაშმელი, კ. მესხი, მურვანიშვილი, მჭედლიშვილი, ი. ზარდალიშვილი, ვ. მატარაძე, ი. ყიფიძე, შ. საღარაძე და ვ. ურუშაძე.

ადგილების ფასი: ლოჟები 12 მ. 50 კ.-დან 5 მ.-მდე; პარტერი 2 მ. 50 კ.-დან 60 კ.-დე; გალერეია 40 კ.-დან 20 კ.-მდე, მოწაფეთათვის 40 კაპ.

დასაწყისი სწორედ საღამოს 8 საათზედ.

ვისაც აბონემენტის ფული შემოტანილი არ აქვს სრულიად, თეატრში არ შეუშვებენ.

მზადდება წარმოსადგენად ახალი პიესა ვ. ყიფიანისა „სამეგრელოს მთავარი ლევან“ ამ პიესისათვის იხატება დეკორაციები და იკერება ტანისამოსი. „ნერონი“, 10 დეკემბერს წარმოდგენილი იქნება ახალი პიესა „წყურვილი“, ახალის დეკორაციებით.

მორიგი რეჟისორი კ. მესხი. რეჟისორის თანაშემწე ვ. ურუშაძე.

დრ. საზოგადოების ადმინისტრაცია.

**ტფილისის კერძო სამკურნალო**

30 მუდმივი საწოლით და საშშობიარო განყოფილებით.

ღია არის ყოველ დღე გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ქსენიას ქუჩ, სახლი № 7 „ვეტცელის“ სასტუმროს ახლოს,

ტელეფონი № 590.

ლამბაშიძე ვ. დ.: შინ. და ბავშვ. ყ.-დღე; გარდა კვირა. 11-12 საათ.

გედევანიშვილი მ. ა. ნერ. და ელექ., ორშ., ოთხშ., და პარ. $10^{1}/_{2}$—11 ს.

გურკო გ. ა შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.

კარშინი. ა. ა. კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა $2^{1}/_{2}$—$3^{1}/_{2}$ ს.

მაღალაშვილი გ. გ შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

ქიქოძე ტ. ს. შინაგანი. ორშ. და ოთხშაბ. 9—10 ს.

მანსვეტოვი ვ. მ. შინ., ორშ., ოთხშ., და პარას. 1—2 ს.

მელიქიშვილი. ნ. მ. ქირურ და დედაკაც. ყოველ-დღე 12—1 ს.

მუსხელიშვილი გ. ს. თვალის, ორშ., ოთხშ. და პარას. 2—2-ნახ. ს.

ფირალოვი რ. ბ. ქირურ. ყოველ-დღე 11—12 ს.

პაპოვი ბ. ა. ყურ., ყელის და ცხვი., ყოვ. დღე, გარდა პარას. 2—2-ნახ. ს.

რცხილაძე. ნ. კბილ. ყოველ დღე. 9—10 ს.

ხობოლევსკი გ. ვ. ქირურ,. ყოვ. დღე, 9—11 ს.

თიკანაძე ი. ე. დედაკ. და საბებიო ყოველ დღე 1—2. ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ. და ბაქტეროლოგიური ლაბორატორ. რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კ., საწოლე ი 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შელავათ. საფასურით. (100—6.—51)

**ვაგზლის კერძო სამკურნალო**

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.

ს. გაზაყმაძე—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.

ი. გ. გომართელი—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.

ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, $11^{1}/_{2}$—$12^{1}/_{2}$ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

ნ. მ. მელიქიშვილი—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.

ვ. ს. მუსხელიშვილი—სამშ., ხუთშაბ., და შაბათ 2—$2^{1}/_{2}$ ს. თვალისა.

ბ. ა. პოპოვი—ყელ., ყურ. და ცხვირ. ყოველ დღე 12—1 ს.

ე. გ. ფეოდოროვი—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი

მიკროსკოპიული, ბაქტეროლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა- ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით. (წლ.—6.—218)

**კახეთის მევენახეთა ამხანაგობა**

**„საერო“**

ამით აცხადებს, რომ ამ 1909 წლის 1 დეკემბრიდან ღვინოები შემდეგ ფასებში გაიყიდება:

№ 1—25 კ., № 2—30 კ., № 3—40 კ., № 4—50 კ., № 5—1 მ.

მუდმივსა და ნაღდად მოვაჭრეებს რამდენიმე პროცენტი ეთმობათ.

Адресъ: Тифлисъ. „Сэро“. Телефонъ N 720. (3—561—1)

**ზღაპრები ქართლში, კახეთში და ფშავში**

შეკრებილი თედო რაზიკაშვილის მიერ

დაიბეჭდა და იყიდება წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში. ფასი 2 წიგნისა 1 მან. 50 კ. საწყობი იქვეა.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, Дворцовая, Обществу грамотности. (15—9)

**ექიმი** ი. ვაშაკიძე იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბელინსკის ქუჩ, N 18 (ყოფილი კირპიჩნაია). (0—65)

**ექიმი** ვასილ წერეთელი ქუთაისში იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს. საღამოს 4—6 საათზე. ივანოვის ქ., მოსე ქიქოძის სახლი. (0—უ.—61)

**ექიმი** კბილისა ალ. სოლოლაშვილი იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. დ. 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივანისა. (უ)

**ექიმი** ლ. ნ. ოჯანჯანოვი ყოფილი ასისტენტი პროფ. ნისსისა ბერლინში, სპეციალურად: საშარდეს, სიფილისის, ვენერ. და კანის ავადმყოფობანი. დილით 9—11 ს., საღამოთი 6—8 ს. ბავშვები და ქალები 11—12 ს. კადეტის ქ., N 2. (გოლოვინსკის ჩუთხე). (100—ხალ.—73)

**ექიმი** კბილისა რომანიშვილი-დგებუაძისა იღებს ავადმყოფებს 2—6 საათამდის. პლომბის გაკეთება, კბილის ამოღება და ხელოვნური კბილების ჩასმა ყველასათვის ხელმისაწვდენ ფასად. მოსწავლე ბავშვებს დაკლებულ ფასებში. ახალი ბინა: ავჭალის ქუჩა, N 24. (25—6.—11)

**ექიმი** კ. ს. ფონ-ირტელი არჩენს სპეც. ქირურ., სამ., ვენერ., სიფ., ქარ. და კანის ავადმ. (სქეს. უძლ., სისუსტ., ქრონ. ტრიპერი, სიფ მეძეგი, ბუასილი და სხვ.) დილ. 9—11 ს., საღ. 5—8 ს. ვორონ. მეგლ., მონუმენტის მეხ. N 5, ს. შაფრანოვისა, ბუფ. გვერდზე. (100—ხალ.—59)

**ექიმი** ქუთაისში კ. თ. ტყეშელაშვილი იღებს შინაგან და სპეციალურად ვენერიულ სნეულებით ავადმყოფთ (სუსუნატი, სიფილისი, სამარდე მილის, ბუშტის და თირკმელების (ჭაჭების) სატკივარი, დილით 9—12, საღამოთი 5—7; კვირაობით მხოლოდ დილით. ტფილისის ქ., სადლი ფირალოვისა. (0—კვ.—114)

**ექიმი** კბილისა ქუთაისში ნ. ა. დემიდოვი იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბოტონის ქუჩა, N 14, სახლი დემიდოვისა. (0—586—308)

**ქუთაისი** მასაჟით სამკურნალო კაბინეტი მ. ტ. ბალანჩივაძისა.

ყვავილის აცრა, აგრეთვე ხაზის მასაჟი ორთქლის ვანებით. ვიღებ ავადმყოფებს დილ. 9 ს ნაშ. 2 ს. ვაჟების გიმნაზიის პირდაპირ ჭილაძის სახლებში. (25—6.—10)

**კაბინეტი** ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი მ. გედევანიშვილისა.

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. N 791. (0—6.—118)

**სამკურნალო**

ექიმთა საზოგადოებისა

მუდმივ კრაოტებით.

მიხეილის პრ., 59. ტელეფონი N 1026.

ავადმყოფთა მიღება:

მ. ალაჯანოვი—საშარ. სიფილ. და კან. 11—12 საათ.

ნ. ათენიანცი—ყურ., ცხვირ. და ყელ 1—2 ს.

ვ. ვნუკოვი—ქირურგიული ავად. 1—2 ს.

ი. ეგიაზაროვი—ნერ. და შინ. 11—12 ს.

მ. კიმონტი—ქირურგ. ავად. 11—12 ს.

მ. მაგაკიანი—შინაგ. და ბავშ. 10—11 ს.

ლ. მონინა—ქალის ავად. და ბებიაობა 1—2 საათ.

ა. კალმიკოვა-ვნუკოვა—ქალის ავად. 2—3 საათ.

სამკურნალოსთან ელექტრონით ექიმობა. მასაჟი; მიკროსკ., ბაქტეოლ. და ქიმიური გამოკვლევანი. ყვავილის აცრა. ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისთვის 50 კ. ოპერაციები და კონსულტ. შეთანხმებით. საავადმ. განყოფილება შესდგება საზოგ. პალატებისა და ცალკე ნომრებისაგან. (100—ხალ.—70)

**სამკურნალო**

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარეთან მოსიარულე ავადმყოფთათვის. ვანქის დიდი ქუჩა, N 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად. ტელეფონი N 483.

ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ავადმყოფთა მიღება 11-დან 5 ს.-დე.

რიდელი— ბავშვ. შინ. ყოველდღე 3-4ს.

თეთრაძე—სიფ., ვენერ., კან. ყოველდღე 1—3 საათ.

პავლოცკი—ქირურგ. ყოველდღე 4—5

იოსელიანისა—ქალ. ავად., ორშაბათ, ოთხშ., პარას., კვირა 11—12 საათ.

ბოჟოვსკი—შინაგანი ჰიპნოზი. ყოველ დღე 4—5 საათ.

ჩუდნოვსკი—ნერვებ, სულ.-ავ. ელექტრ. ორშ. ოთხშ. და პარასკ. 4—5 მ.

ერმოლაევი—ბავშვ. ყ.-დღე 1—2 ს.

ვნუკოვი—ქირურგ. ყოველდღე 2—3.

ნოვიცკი— ებ., ქალ., ყოველდღე 1—2

აბულაძიანი—შინაგ. და ბავშვ. ყოველ დღე 11—$12^{1}/_{2}$ საათ.

კალამქაროვი—ბებ., ქალ., ყოველ-დღე კვირის, გარდა 4—5 საათ.

ბალდინა-ნოვიცკაია—ცხვ. ყელ. ყურის. $11^{1}/_{2}$—$12^{1}/_{2}$ საათ.

ასპიროვი—ცხვ. ყელ. ყურ. 1—2 ს.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. სიფილისის (ათაშანგის) გამოკვლევა სისხლში პროფ, ვასსნარის შრატით. (00—6.—122)

**ექიმი** გ. მაგაკიანი შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი, სპეციალური ავად. ნაწლავებისა და კუჭისა. ავადმყოფებს იღებს დილით 12—1 ს., საღამოთი 6—6 ს. მიხეილის პრ., N 36, სახ. ჭავჭანიძისა. (100—ხალ.—55)

**ქუთაისში** კბილის ექიმის დ. ს. რიჟინაშვილის კაბინეტთან გაიხსნა

**სამკურნალო**

პირისა და კბილების სენისა. პლომბები, ჩასმა ხელოვ. კბილებისა, გადაკეთება, კბილების ამოღება და სხვა ოპერაციები უტკივრად. ნიხრი მთავრობისაგან დამტკიცებულია. მოსიარულე ავად. მიღება ყოველ დღე დილის 8-დან საღ. 7 ს.-მდე. პუშკინის ქუჩა, საკ. სახლი, N 28. ვიტუშინსკის აფთიაქის გვერდით. (100—6.—56)

**ექიმი** ვ. ს. მუსხელიშვილი იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე. გიროჩნის ქ., № 9. (უ)

დაიბეჭდა და იყიდება ახალი წიგნი:

**„ნატო გაბუნია“**

30 წლ. სასცენო მოღვაწეობის სასხოვრად გამოცემა ქარ. დრ. საზ—ხა

ფასი 30 კ.

ვინც ათზე მეტს იყიდის, მანათზე 20% დაეთმობა. საწყობი დრამ. საზ. კანტორაში. ფოსტის ადრესი: Тифлисъ, контора груз. драмат. об—ва. (10—5)

**იყიდება**

იაფად საავარაკო ადგილები, თითო ნაჭერი 500 საჟენი და მეტი, სოფელ თელოვანში (ტფილისის მაზრა), ტფილისიდან 13 ვერსის მანძილზე საქართველოს სამხედრო გზა-ტკეცილით. საავარაკო ადგილები მაღლობზეა, 3000 ფუტზე, მდიდარი ტყითა და წყაროებით, მშვენიერი ჰავით, სანახაობით და მდებარეობით. იყიდება პატრონთან მორიგებით და ფულის ნაწილ-ნაწილ გადახდით; ვინც ბევრ ნაჭერს იყიდის, იმას ფასი საკმაოდ დაეკლება.

მიმართვა შეიძლება: ტფილისს, ფრეილინის ქუჩა, № 1, სახლი ბაისოლოღოვისა, რუსეთის 1-ლ ცეცხლისაგან დამზღვევ საზოგადოების მთავარ კანტორაში ზაქარია გიორგის ძეს მაღლაშვილს. (50—6.—47)

გამოვიდა და იყიდება წერა-კითხვის საზოგადოებაში ახალი წიგნი

**ძველი საქართველო**

ტომი 1.

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების კრებული, გამოცემული ექვ. თაყაიშვილის რედაქტორობით.

ეს წიგნი უფასოდ დაეთმობა საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ნამდვილ წევრებს, რომელთაც შემოუტანიათ 1909 წლის საწევრო გადასახადი (3 მან.) ასეთ წევრებს, ტფილისში მცხოვრებთ შეუძლიანთ მიიღონ წიგნი წერა-კითხვის საზოგადოებაში, ხოლო ქალაქს გარედ მცხოვრებთ წიგნი ფოსტით გაეგზავნება. ფასი წიგნის 3 მ. 50 კ (5—4)


## ახალი ამბავი

✦ **ჩამოხრჩობა.** 30 ნოემბერს, დილის 5 საათზე, საგუბერნიო საპატიმროს ხრამში სისრულეში მოიყვანეს კავკასიის სამხედრო სასამართლოს განაჩენი, რომლითაც ჩამოხრჩობა ჰქონდა გადაწყვეტილი გიორგი სისაურს. ჩამოხრჩობილს ჰბრალდებოდა 1905 წელს 4 დარაჯის მოკვლა.

✦ **წარმომადგენელნი საპედაგოგიო საბჭოში.** ამ ერთი წლის წინად ტფ. ქალაქის საბჭომ დანიშნა თავისი წარმომადგენელნი ტფ. საშუალო სასწავლებლების საპედაგოგიო საბჭოებში. რადგან დიდი მნიშვნელობა აქვს ქალაქის თვითმმართველობის მონაწილეობას საშუალო სასწავლებლების საპედაგოგიო საბჭოებში მონაწილეობის მიღებას, ტფილისის მაგალითს, როგორც ვიცით, მიჰბაძეს კავკასიის სხვა ქალაქებმაც, მაგრამ გადის ამდენი ხანი და წარმომადგენელნი სამოსწავლო ოლქის მზრუნველს ჯერაც არ დაუმტკიცებია.

✦ **შემოწირულებანი.** საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების საბჭომ მიიღო შემოწირულებანი: ერისთავის მეუღლის ნინო დავითის ასულისაგან—წყვილი კარგად მოხრდილი უზანგო (გარდმოცემით, დავით აღმაშენებლის ნაქონი) და ბრინჯაოს პატარა ძაღლი; იასონ დავითის ძე ციციშვილისაგან—ძველი ფული, 27 სპილენძისა და ერთი ვერცხლისა, და ლუარსაბ, დავით და არჩილ მეფეების ხატი (ანტონ კათალიკოზის ნაქონი), რომელიც გადაუკია ციციანთ გვარისთვის მათ რძალს მარიამ ბატონიშვილს, მეფე ერეკლეს ასულს.

✦ **პიესის გმირის გასამართლება.** დღეს, 1 დეკემბერს, საარტისტო საზოგადოების შენობაში ღარიბ ბავშვთა დამხმარებელ საზოგადოების სასარგებლოდ გაიმართება საღამო. სხვათა შორის, საღამოს 10 საათზე მოხდება იბსენის პიესის გმირის ნორას გასამართლება. ნორა იქნება ნ. ი. სნარსკისა, ნაფიც-მსაჯულთა თავმჯდომარედ—ვექილი ა. ს. ჩიმიშკიანი, პროკურორად—გ. ბ. გვაზავა, დამცველებად—ა. ი. ხატისოვი და. ლ. კ. საზუმოვსკისა, მოწმეებად—საარტისტო საზოგადოების სცენის მოყვარენი. 12 ნაფიცი მსაჯული—საზოგადოებიდან იქნება მოწვეული.

✦ **საჩუქარი.** დღეს, პირველ დეკემბერს სრულდება 40 წელიწადი, რაც ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის უფროსი რიაბჩინსკი ფოსტა-ტელეგრაფის უწყებაში მუშაობს. ტფ. კანტორის მოხელეებს გადაუწყვეტიათ უფროსს მიართვან საჩუქარი, 180 მანეთად ღირებული.

✦ **არხი შავსა და კასპიის ზღვების შუა.** ინჟინერებს ოშჩევსკი-გრუკლიკს და კისტნერს განუზრახავთ შავი ზღვისა და კასპიის ზღვების შეერთება არხით. არხი ჩრდილოეთ კავკასიაში გაივლის. გამოკვლევების მოსახდენად შესაფერი შუამდგომლობა აღუძრავთ.

✦ **სამოსწავლო ოლქის მზრუნველის განკარგულება.** „კასპს“ ტფილისიდან დეპეშით ატყობინებენ: კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის განკარგულებით თეატრებსა და სინემატოგრაფებში მორიგეობით ივლიან ქალთა გიმნაზიების ზედამხედველი-ქალები. ზედამხედველებმა თვალყური უნდა ადევნონ ქალთა გიმნაზიების მოწაფეებს, რომელნიც თეატრში თავდაუჭერლად იქცევიანო.

✦ **ხოლერა ბაქოში.** დეპეშათა სააგენტოს სიტყვით, უკანასკნელ კვირის განმავლობაში ხოლერით ავად გამხდარა 11, გარდაცვლილა 6 კაცი.

✦ **მკვლელობა.** სიღნაღიდან გვატყობინებენ: 26 ნოემბერს ჩხუბის დროს ხანჯლებით მოჰკლეს ორი კაცი, მძიმედ დასჭრეს ერთი.

✦ **ტფ. გუბერნატორის საქმე.** მკითხველს მოეხსენება, რომ გაზეთ „გოლ. კავკ.“ რედაქცია ტფ. გუბერნატორს ლოზინო - ლოზინსკის უჩიოდა, უკანონოდ შეაჩერა ჩვენი გაზეთიო. ამის შესახებ სააგენტო იუწყება: „სენატის პირველმა დეპარტამენტმა დაადგინა, მოსპოს ტფ. გუბერნატორის ლოზინო-ლოზინსკის საქმეო“.

✦ **სკოლა ნავთლუღში.** როგორც იყო, ნავთლუღში რის ვაივაგლახით გაიხსნა წერა-კითხვისა და ჭრა-კერვის სასწავლებელი, სადაც უკვე ოცდა თვრამეტი ბავშვი სწავლობს. სკოლა გაიხსნა ქართველთა-შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სახელზე.

✦ **ხარჯთ-აღრიცხვა.** გუშინ, 30 ნოემბერს, საღამოთი ტფ. ქალაქის საბჭო შეუდგა 1910 წლის შემოსავალ-გასავლის ხარჯთ-აღრიცხვის განხილვას. საბჭოს ხარჯთ-აღრიცხვა წარედგინა საფინანსო კომისიის აზრის გამოუთქმელად და გამგეობის დაუსახელებლად, თუ საიდან უნდა დაიფაროს 300,000 მანეთამდე მოსალოდნელი დეფიციტი.

✦ **ტფ. ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის რევიზია.** 29 ნოემბერს საკონტროლო პალატის მოხელეებმა რევიზია გაუკეთეს ტფ. ფოსტა-ტელეგრაფის კანტორას. რევიზია გაუკეთეს, სხვათა შორის, მარკებით მოვაჭრე ქალებს. ერთ ქალს მეტი აღმოაჩნდა 3 მანეთით, მეორეს 59 კაპეიკი. რევიზორებმა ეს ფული ფოსტის შემოსავალში შეიტანეს. ვერ გასჭრა ქალების მუდარამ, რომ ეს ფული ჩვენია, ხურდის მიცემის დროს ჩვენი ჯიბიდან მივეცი. ფული და დაგვავიწყდა კასიდან ფულის უკან აღებაო.

✦ **დეპუტაცია.** „რეჩის“ სიტყვით, პეტერბურგში ჩასულა თერგის ყაზახთა დეპუტაცია. დეპუტაციას უნახავს ოქტომბრისტთა ფრაქციის ლიდერები და შეუჩივლიათ, ჩაჩნები მოსვენებას არ გვაძლევენ, ყაჩაღობენ და გვძარცვავენო. დეპუტაციას დახმარება უთხოვნია.

✦ **მიშლაევსკის წამოსვლა.** „კასპის“ სიტყვით, კავკასიაში უკვე წამოსულა კავკასიის მეორე კორპუსის უფროსად დანიშნული გენერალი მიშლაევსკი.

✦ **სესხის აღება.** ბაქოს ქალაქის გამგეობას პეტერბურგიდან ქალაქის თავის რაევსკისაგან დეპეშა მიუღია, 27 მილიონი მანეთის სესხი უკვე ავიღეო. ნაღდად მოგვცემენ 24 მილიონ მანეთს. ფული უნდა მოგვცენ სამი წლის განმავლობაში, წელიწადში 8 მილიონი მანეთიო. ეს ფული ბაქოს ქალაქის თვითმართველობას წყლის გამოსაყვანად უნდა.

✦ **დიღმის ხიდთან,** საქართველოს სამხედრო გზაზე, ნახეს გვამი ვიღაც კარგად ჩაცმულ კაცისა. მოკვლის ნიშნები არ ეტყობა და ვერ გამოურკვევიათ, ვინ არის იგი.

✦ **დღეს, 1 დეკემბერს,** სადამოს რვა საათისთვის დანიშნულია სხდომა კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭოსი მიმდინარე საქმეების განსახილველად.

✦ ნათლუღში ქურდობა ძალიან გახშირდა. კოშკელაანთ მოჰპარეს ქათმები. ბაგრატ და სანდრო ქოფაჩიშვილების ეზოში გადავიდნენ, რადგან სახლში შესვლა ველარ მოეხერხებინათ. სამზარეულოში შესულიყვნენ და ნახმარი ტანისამოსი და სხვა ნივთები წაეღოთ. ალექსი არუთინოვის სახლის ფანჯარა გასტეხეს, მაგრამ სახლის პატრონებმა შეუტყეს და ქურდები გაიქცნენ. ასე წვრილ-წვრილად ქურდობენ ჯერ-ჯერობით და თუ ზომები არ მიიღეს, მეტსაც ჩაიდენენ. ყველა ამაების გამო ხალხის ერთი ნაწილი იმ აზრს დასდგომია, რომ ამოარჩიოს საქვეო პირები და ადმინისტრაციას გადასცეს.

✦ ტფ. ქალაქის გამგეობამ უკანასკნელ სხდომაზედ დაადგინა, გადასდოს 350 მან. ავჭალის წყლის მილის გასამაგრებლად.

✦ 27—29 ნოემბერს ტფილისში მოხდა შემდეგი ამბები. 28 ნოემბერს ფილოიანის საკომერციო ცოდნის სკოლის მოწაფეთათვის 113 მანეთის პალტოები მოუპარავს ვიღაცას. ეჭვი მიიტანეს იმავე სკოლის მოწაფეზე იოსებ მახათელზე, რომელიც გამოტყდა დანაშაულში. პალტოები აღმოაჩინეს და გადასცეს პატრონებს. ნაძალადევში მცხოვრები რკინის გზის დარაჯი ალექსი სუმბუროვი 27 ნოემბერს დაბრუნებულა შინ მთვრალი და ანდრეევის ქუჩაზე რევოლვერი დაუცლია. დაჭრით არავინ დაჭრილა. 28 ნოემბერს პოლიციელი ისააკ კოპიშვილი შესულა კიროჩნი ქუჩაზე თავის ძმის სახელოსნოში და დაუწყვია რევოლვერის წმენდა. რევოლვერი გავარდნია და დაჭრილა ხელში. 20 ნოემბერს ვანქის ქუჩის შესახვევთან დახოცილთაგან ერთის ვინაობა გამოურკვევია პოლიციას. იგი აღმოჩენილა განჯის მცხოვრები ვაგამ არუთინოვი. მიხეილის ქუჩაზე პოლიციელებმა დააპატიმრს ვლადიმერ მაღრაძე, რომელსაც სასამართლოს ქუჩაზე არტემ არუშოვის სახელოსნოდან მოეპარა ტანისამოსი და მიჰქონდა. 29 ნოემბერს, დილის 7 საათზედ, კახეთის გზა-ტკეცილის გვერდით მინდორში პოლიციელებმა ნახეს გვამი ვილჰელმ დოტმარისა. გვამი მიხეილის საავადმყოფოში გაჰგზავნეს. 29 ნოემბერს ჩხრეკის დროს დააპატიმრეს პოლიციის 1 ნაწილში 32 უპასპორტო კაცი, მე-2 ნაწილში—16 კაცი, მე-11 ნაწილში—1, მე 6 ნაწილში—20 კაცი.

# ნარკვევი
(ჟურნალ-გაზეთებიდან)

ნ. გაბუნია-ცაგარლის იუბილეის წერილები უძღვნა ყველა ადგილობრივმა გაზეთმა — ქართულმა, სომხურმა, რუსულმა. ყველა აღტაცებით ეგებება ამ კულტურულ დღესასწაულს. მოგვყავს დღეს ქართულ გაზეთების აზრი. „საქართველოს მოამბე" სწერს:

ერს მრავალგვარი გზა აქვს თვის გრძნობათა და მისწრაფებათა გამოსახატავად, მრავალ გვარი საშუალება აქვს, რომელთა შემწეობით მის წევრებს შეუძლიანთ იგრძნონ ერთობა, ურთიერთის ფსიხიური სიახლოვე, ერთგვარი ლტოლვილება, ერთგვარი ცხოვრება. ამ მიზანს ემსახურება სხვა-და-სხვა საზოგადოებრივი დაწესებულება, მეცნიერება, ლიტერატურა, სცენა და სხვა. მაგრამ არის ისეთი მომენტი ერის ცხოვრებაში, ხშირად ძლიერ ხანგრძლივიც, როდესაც ის ისტორიულ გარემოებათა გამო დამონებულია, თავისუფალი ზრდის გზა დახშული აქვს, მაზე გაბატონებული ერი ცდილობს მის გონებრივ პროლეტარიზაციას, ყოველგან, სადაც-კი მოინდომებს თავის ვინაობის გამომჟღავნებას, გზაზე გადაეღობება და ამ ნაირად ხელოვნურად, ათას შემავიწროებელ საშუალების შემწეობით დამონებულ ერის შვილებში სუსტდება გრძნობა კულტურულ და საზოგადოებრივ ერთიანობისა. მეტად მძიმე ხანაა ერის ცხოვრებაში ისეთი დრო, მას სურს ამოისუნთქოს და თითქო ამ დროს ხელოვნურად ჰაერს ართმევენ. მას სურს ფრთა გაშალოს, და ამ დროს ათასი გზით ცდილობენ ფრთები შეუხრუკონ და დააუძლურონ. ასეთ დროს, როცა კი თავის მისწრაფებათა გამომჟღავნება მეტად საძნელო ხდება, როცა საერთო საზოგადოებრივი ასპარეზი დახშულია, სცენას განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა.

აქ ხალხი მოდის არა მარტო თავის ესთეტიურ გრძნობათა დასაკმაყოფილებლად, არა მარტო სიამოვნებისათვის, აქ ის ეძიებს თავის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ მისწრაფებათა გამომჟღავნებას, აქ ის გრძნობს ერთიანობას თავის წარსულთან და ამ ნაირად ეჩვევა ისტორიულად თავის ვინაობის შეგნებას და ამით ემზადება მომავლისათვის. ამიტომაც ჩვენთვის, დამონებულთათვის, ჩვენი სცენა მეტად საყვარელი, მიმზიდველი და პატივსაცემი უნდა იყოს.

ჩვენს პირობებში ყოველი საზოგადო მოღვაწე დარწმუნებული უნდა იყოს, რომ მას შესაფერი პატივისცემა ცხოვრებაში არას დროს არ ეღირსება. აგეთივე ბედი მოელის, რასაკვირველია, სცენის მუშაკსაც, და ამიტომაც მისი მუშაობა ათჯერ და ასჯერ უფრო ძვირფასია ჩვენთვის. ათასი გაჭირვება, მუდმივი ქონებრივი სივიწროვე, ხშირად შიმშილიც მისი ჩვეულებრივი თანამავალი მოვლენაა. მაგრამ მიუხედავად ასეთი პირობებისა ჩვენმა სცენამ მოგვცა რამოდენიმე გამოჩენილი, გულმოდგინე და დაუღალავი მოღვაწე, რომელთაც მთელი თავისი სიცოცხლე სცენას შეალიეს და ამით სამშობლოს დაუფასებელი მსხვერპლი შესწირეს.

ამ მუშაკთა შორის ერთი პირველი ადგილთაგანი უჭირავს ნატო გაბუნიას, რომლის ოც-და ათი წლის სასცენო მოღვაწეობასაც დღეს ვდღესასწაულობთ. შეუძლებელია, ჩვენი სცენა წარმოიდგინოთ და მასთან ერთად არ დაგვეხატოთ თვალ-წინ ნატო გაბუნია თავისი შეუდარებელი ნიჭით, არ გაგახსენდეთ შფოთიანი ხანუმა, არსებობისთვის ბრძოლაში გაოროტებული ფროშარი და სხვა მრავალი ტიპი, რომელიც ჩვენ სცენაზე ნატოს მადლიან ნიჭს შეუქმნია.

„მომავალში" ვკითხულობთ:

არტისტს დღესაც ვერ დაუჭერია საპატიო ადგილი ჩვენს საზოგადოებაში, და თუ დღესაც ეს ასეა, რაღა უნდა ყოფილიყო ის ამ 30 წლის წინათ, როცა ჩვენი მაშინდელი საზოგადოების „მესვეურნი" სცენაზე თამაშს „მეძავ-კურონობას" ეძახდნენ.

ძველ ცხოვრებაში აღზრდილნი, ძველი ზნე-ჩვეულებებით გაჟღენთილნი როგორც ყოველთვის და ყველგან, მტერნი ყოველივე ახალის, ისინი—არავითარ საშუალებას არ ერიდებოდნენ, რომ საზოგადოებაში თეატრისადმი თანაგრძნობა ჩაეხშოთ და მით თეატრის არსებობაც მოესპოთ.

თეატრის ხელის შემშლელ-მოწინააღმდეგეებს, ფრიად ხელს უწყობდა და თეატრის წინააღმდეგ მოქმედებას უადვილებდა თვით საზოგადოების მაშინდელი გონებრივ-ზნეობრივი სიდაბლე. საზოგადოებას ეძინა, მისი ცხოვრება უმიზნო და უშინაარსო იყო. და რაღა გასაკვირველია, თუ ასეთ პირობებში დიდი გასავალი ჰქონდა მაშინდელ ცხოვრების მებაირახტრეების მტკიცებას,—ვითომ სცენაზე გამოსვლა ერის გარყვნას, მის წმინდათა-წმინდის შელახვას, მისი ღირსების ლაფში ამოსვრას მოასწავებდა.

ასეთ პირობებში ყოველგვარი მუშაობა მეტად ძნელი და მძიმეა. დიდი მხნეობა და სიმამაცეა საჭირო, რომ ასეთი დიდი დაბრკოლებები გადალახო და ასეთი მძიმე უღლის კისერზე დადგმა და ზიდვა იკისრო. აი ასეთ პირობებში გამოდის სცენაზე და ასეთ მძიმე უღელში ებმება ნატო გაბუნია-ცაგარლისა.

1850 წელს, გიორგი ერისთავის და მის თანამგრძნობთა მიერ ანთებული ქართული თეატრის ლამპარი, რამდენიმე წლის შემდეგ ქრება. მართალია იმართება წარმოდგენები, მაგრამ მას უფრო ვიწრო, ოჯახური ხასიათი აქვს და ხალხისთვის ხელმიუწდომელია. 1879 წ. შედგა პატარა დასი და თავ გამოდებით შეუდგა ქართული სცენის სამსახურს. ამ დასი ერთის წევრთაგანი იყო ნიჭიერი მსახიობი ნატალია გაბუნია-ცაგარლისა, რომელიც დღემდის, ამ 30 წლის განმავლობაში ბეჯითად და სიყვარულით ემსახურება ქართულ სცენას და სამაგალითო ხელოვნებით ასრულებს სხვა და სხვა როლებს, განსაკუთრებით ხანში შესულ დედაკაცების როლებს ჩვენი ცხოვრებიდან, სადაც თავისი შეუდარებელი თამაშით ასე ხიბლავს მსმენელებს.

დღეს მთელი ქართველი საზოგადოება დღესასწაულობს ნიჭიერ მსახიობის 30 წლის იუბილეის და მასთან ერთად ჩვენც გულწრფელ სალამს ვუძღვნით და ვუსურვებთ დღეგრძელობას, რომ კვლავ განაგრძოს თავისი სასიქადულო მოღვაწეობა ეკლით მოსილ ცხოვრების გზაზე.

დეე, ეს დღესასწაული საფუძვლად დაედვას ქართულ თეატრის აღორძინებას.

„მათრახი და სალამური" სწერს:

ჩვენს კურთხეულ სამშობლოში ძნელია ყოველგვარ საზოგადო მოღვაწეობის ასპარეზზე მუშაობა, მაგრამ მათში ყველაზე უფრო ძნელსა და აუტანელს, თავისი პირობების მიხედვით, ისევ ქართული სცენა წარმოადგენს.

სხვაგან, ცოტად თუ ბევრად ნიჭიერ არტისტებს თუ ჩინებულ ნებივრობით არა, გვარიან პირობებში მაინც უხდებათ ცხოვრება. შეიძლება ზედმეტი მათ ფუფუნება აკლდეთ, მაგრამ საჭმელ-სასმლითა, ბინა და ტანსაცმლით მაინც უზრუნველყოფილნი არიან.

ჩვენში? ჩვენში კი სულ სხვაა. ჩვენი სცენის არა თუ საშუალო ნიჭის მუშაკები, თვით წარჩინებულნი და უცილო ნიჭით დაჯილდოვებული მსახიობნიც ნახევრად მშიერ ცხოვრებას ეწევიან. საკმარისია რომელიმე მათგანი ავად გახდეს, (და ავად გახდომა ამ პირობებში არც ისე ძნელია!), რომ ის სრულიად უმწეოდ დარჩეს და ქველ-მომქმედთა თავ-სატეხი შეიქნეს. ამის მაგალითი არა ერთი და ორი გვახსოვს სულ ახლო წარსულიდან და ვგონებ მეტიცაა აქ ამაზე ლაპარაკი.

და წარმოიდგინე მკითხველო, ადამიანი, დიახ, ხორც შესხმული ადამიანი და ისიც ქალი, რომელიც ოცდა ათი წელიწადი განუწყვეტლივ დასტრიალებს ქართულ სცენას.

ოც და ათი წელიწადი ქართულ სცენაზე!!!

განა ეს ცოტა რამ საყურადღებოს ამბობს? დიახ რომ ბევრს, ძალიან ბევრს! ეს ნათლად ღაღადებს, როგორც მოუდრეკელ სიყვარულს ქართული სცენისადმი, აგრეთვე ერთგვარ თავგანწირვას საჭირო საქმისათვის.

ვინ არის ეს საარაკო ადამიანი?

ის გახლავთ ნატალია გაბუნია ცაგარლისა!

# დეპეშები
(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)
29—30 ნოემბერი.

### სპარსეთი

**პეტერბურგი.** არდებილში რუსის ჯარის ჩამოსვლისთანავე ყარადაღელებმა და შაჰსევანებმა თავი მიანებეს არდებილსა და მის მიდამოებს და უკან დაბრუნდნენ. ამის შემდეგ არდებილსა და მის ოლქში მშვიდობიანობა და წესიერება დამყარდა. მხოლოდ თავრიზ-ასტარის სავაჭრო გზაზე ზოგიერთ შემთხვევებში ყაჩაღები თავს ესხმიან ქარავნებს. რადგანაც არდებილში მშვიდობიანობის ჩამოგდების რუსის შემდეგ ჯარის ძლიერ რაზმის ყოლა საჭირო აღარ იყო, ამიტომ რუსის მთავრობამ უკან დააბრუნა რაზმის დიდი ნაწილი, არდებილში კი დასტოვა ქვეითა ჯარის ხუთი როტა, სამასი ცხენოსანი ყაზახი, საპიორთა ერთი რაზმი და ერთიც სამთო ბატარეა, აქედან ქვეითა ჯარის სამი როტა, სამთო ბატარეა, ასი ყაზახი და საპიორები დარჩებიან არდებილში, რაზმის დანარჩენი ნაწილი დაიცავს ასტარა-არდებილის წრის ნაწილს და არდებილ-სერაბის გზას. რაც შეეხება იმას, თუ ვინ უნდა აუნაზღაუროს რუს ქვეშევრდომებს ზარალი, რომელიც მათ ყარადაღელებმა და შაჰსევანებმა მიაყენეს, რუსის მთავრობამ სპარსეთის მთავრობას უკვე შეატყობინა, რომ ეს ზარალი სპარსეთმა უნდა ზღოსო. სპარსეთის მთავრობა უკვე შეუდგა რაზმების შედგენას. ეს რაზმები ყარადაღელებს და შაჰსევანელებს აიძულებენ აუნაზღაურონ რუს ქვეშევრდომებს ის ზარალი, რომელიც მათ მიაყენეს ამ უკანასკნელებს. ამასთან რუსეთის მთავრობამ სპარსეთისას შეატყობინა, თუ სპარსეთის მთავრობა ვერ შესძლებს აიძულოს ყარადაღელები, და შაჰსევანები, რომ რუს ქვეშევრდომებს ზარალი აუნაზღაურონ, მაშინ თვითონ რუსის მთავრობა მიიღებს შესაფერ ზომებსო.

### ოსმალეთი

**სტამბოლი.** დეპუტატთა პალატა. ლაპარაკობს დიდი ვეზირი. დიდმა ვეზირმა გააცნო პალატას ინგლისელთა იმ ამხანაგობის ისტორია, რომელსაც კონცესია აქვს აღებული ეფრატსა და ტიგრზედ გემების მიმოსვლის შესახებ. დიდმა ვეზირმა დასასრულ სთქვა: მთავრობას გადაწყვეტილი აქვს ოსმალეთში ასეთივე საზოგადოება შეუერთდესო. მხოლოდ რადგან ამ საზოგადოების შედგენა და ინგლისელთა საზოგადოებასთან შეერთება სახელმწიფოსგან ფულს არა თხოულობს და ზოგიერთ პოლიტიკურ მოსაზრებებით, სამინისტრო პალატას არ წარუდგენს ამის შესახებ კანონ-პროექტსო; დიდი ვეზირის შემდეგ ილაპარაკა ასალგაზდა ოსმალთა საპარლამენტო ფრაქციის ლიდერმა ხალილ-ბეიმ. ხალილ-ბეიმ ფრაქციის სახელით მოითხოვა დეპუტატთა პალატაში კანონ-პროექტის შეტანა. პალატამ ხმის უმრავლესობით მიიღო ხალილ-ბეის წინადადება. დიდმა ვეზირმა კენჭის ყრის შემდეგ ნდობის გამოცხადება მოითხოვა, მაგრამ პალატის თავმჯდომარემ ახმედ-რიზამ იმწამსვე დეპუტატთა პალატის სხდომა დახურულად გამოაცხადა. სხდომის განახლების შემდეგ დიდმა ვეზირმა ხელმეორედ სთქვა: სამინისტრო წინააღმდეგია პალატის რეზოლიუციისა და ნდობის გამოცხადებას თხოულობსო. ფინანსთა მინისტრი ხელმეორედ ავიდა კათედრაზედ. დეპუტატებმა პროტესტი განაცხადეს. თავმჯდომარემ როგორც იყო წესიერება დაამყარა. ფინანსთა მინისტრმა პალატას ხელმეორედ გააცნო საქმის ვითარება და სთქვა: სამინისტროს შეძლება არა აქვს ინგლისის და ოსმალეთის საზოგადოებების შეერთების შესახებ საბუთები წარმოადგინოს, სამინისტრო ნდობის გამოცხადებას თხოულობსო. შემდეგ ილაპარაკეს ხალილ-ბეიმ და სხვა დეპუტატებმა. დეპუტატები კანონ-პროექტის წარმოდგენას თხოულობენ. სხდომა ორშაბათისთვის—გადაიდო.

### საზღვარ-გარედ

**ბელგრადი.** სკუპშჩინის საფინანსო კომისიამ უარჰყო მთავრობის წინადადება ყაზარმების ასაგებად 8 მილიონ მანეთის გადადების შესახებ. მთავრობამ ჯარის რიცხვს მოუმატა და ამიტომ უნდოდა ყაზარმების აშენება. სამხედრო მინისტრი სამსახურიდან გადადგა.

**ვენა.** გავლენიან პოლიტიკურ პარტიების ლიდერები თხოულობენ, რომ პარტიებს შორის ეროვნულ საკითხის გამო ჩამოვარდნილი უთანხმოება დროებით შეჩერდეს, რომ დეპუტატთა პალატის მუშაობამ რაიმე ნაყოფიერება მოიტანოს.

**რომი.** ახალი სამინისტროს შემადგენლობა: მინისტრ-პრეზიდენტი და შინაგან საქმეთა მინისტრი—სონნინო, გარეშე საქმეთა მინისტრი—გვიჩიარდინი, იუსტიციის—სციალოია, ხაზინისა—სალანდრა, ფინანსთა—არლოტა, სამხედრო—გენერალი ქპილინგარდი, საზღვაო—ადმირალი ბეტტოლო, საერო განათლების—დანკო, საზოგადო მუშაობის—რუბინი, მიწად-მოქმედების და ვაჭრობა-მრეწველობის — რუცცატი და ფოსტა-ტელეგრაფის მინისტრი სანტ-ანოფრიო.

**ლონდონი.** ალბერტ-გოლდში ლიბერალებმა წინასწარი საარჩევნო კრება გამართეს. კრებას დაესწრო 100,000 კაცი.

**ბერლინი.** ნაციონალ-ლიბერალებმა რეიხსტაგში შეიტანეს წინადადება კონსტიტუციის ზოგიერთ დებულების შეცვლის შესახებ. ნაციონალ-ლიბერალები თხოულობენ, კონსტიტუციაში ნათლად უნდა იყოს აღნიშნული, რომ იმპერატორის ამა თუ იმ მოქმედებისთვის პასუხს აგებს კანცლერი, ამას გარდა უნდა მოწესრიგდეს საკითხი კანცლერის უმაღლეს სისხლის სამართალში მიცემის შესახებო.

**ვენა.** დეპუტატთა პალატა. იხილავენ დროებით ბიუჯეტს. ხორვატელმა ბინკანმა განაცხადა, სამხრეთ ავსტრიის სლავიანთა საკითხის მშვიდობიანად გადასაწყვეტად საჭიროა რუსეთთან და ბალკანეთის სახელმწიფოებთან მეგობრულ განწყობილების განმტკიცებაო. ჩეხმა გრაფმა შტერნბერგმა ილაპარაკა კრამარჟის პოლიტიკის წინააღმდეგ, კრამარჟმა ჩეხებს სარგებლობის მაგიერ ზარალი მიაყენაო. კლერიკალმა მისლივეცმა სთქვა: მე არ უარვჰყოფ იმას, რომ გერმანიამ ბოსნია - ჰერცოგოვინას ანექსიის დროს მხარი დაგვიჭირა, მაგრამ არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ ბიულოვმა პირდაპირ განაცხადა, გერმანია თავის ინტერესებისთვის მოქმედებდა ბოსნია-ჰერცოგოვინას საკითხშიო. არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ გაჭირვების დროს სლავიანებს სახელმწიფოსთვის იმდენი სარგებლობა მოუტანიათ, რომ მეტის მოთხოვნა შეუძლებელია. დარწმუნებული ვარ, რომ სლავიანები შემდეგშიაც ასე მოიქცევიან. თუ ავსტრიელი გერმანელები სარგებლობას იმაში ხედვენ, რომ მათ 60 მილიონი გერმანელი მხარს უჭერს, განა მოსალოდნელი არ არის, რომ სლავიანთა რომელიმე სახელმწიფომ სლავიანებს მხარი დაუჭიროს? ავსტრიას რუსეთთან ბევრი საერთო რამ აქვს, ამიტომ გერმანიის, ავსტრიის და რუსეთის ერთსულოვან მოქმედებას ბევრის გაკეთება შეუძლიანო.

**ვენა.** დეპუტატთა პალატა. კრამარჟმა სთქვა, რომ სლავიანების აღელვება ბოსნია - ჰერცოგოვინის ანექსიამ კი არ გამოიწვია, არამედ მთავრობის განკარგულებამ საფოსტო უწყების შესახებო. სლავიანებიო, სთქვა კრამარჟმა, დაინტერესებულნი არიან ავსტრიის სიძლიერეში მაგრამ იმ პირობით კი, რომ ავსტრიაში განხორციელებული იქნება ერების სწორ უფლებიანობა. პანგერმანული მოქმედება ცუდ გზაზედ გვაყენებს და შესაძლებელია დამოუკიდებლობა დაგვაკარგვინოს. დაგვაკარგვინოს ერთი უძვირფასესი ჩვენი განძიო. დეპუტატმა ვასილკომ გაჰკიცხა რუსეთის მომხრე რუსსინები, რუსეთს თანაუგრძნობენ, გრაფიბობრინსკი და რუსეთის სხვა მოღვაწეები რამდენჯერმე იყვნენ გალიციაში, ამას გარდა რუსინელი-გლეხები ხშირად დაიარებიან რუსეთში და ამ მისვლა-მოსვლას ის მოჰყვა, რომ განზრახულია გალიციაში დაარსონ გაზეთი, სკოლები, სადაც ბავშვებს საგნები რუსულად უნდა ასწავლონ. დეპუტატმა სტასურმა სთქვა: ვასილკოს სიტყვა რუსეთის ხალხის წინააღმდეგ არ არის მიმართული, რუსის ხალხს იგი დიდ პატივსა სცემს, ვასილკოს სიტყვა მოღალატე რუსინების წინააღმდეგ არის წარმოთქმულიო.

**ნეაპოლი.** ზღვის ქვეშ მუშაობის დროს დაიღუპა ორი წყალ ქვეშ მომუშავე. ოთხს გული წაუვიდა. დანარჩენი 7 მუშა ჯერ არ ამოუყვანიათ. მიზეზი ის არის, რომ გაფუჭდა სასუნთქავი მანქანა და გაწყდა ჰაერის მიმწოდებელი რეზინები. ჰფიქრობენ, რომ დანარჩენი 7 კაცი დაიღუპა.

**ვენა.** „პოლიტიშე კორესპონდენტ"-ში დაბეჭდილია წერილი პეტერბურგიდან რუსეთ-იაპონიის დამოკიდებულების შესახებ. წერილში ნათქვამია: საქმესთან გაცნობილ წრეების სიტყვით, ტყუილია ზოგიერთ გაზეთების მიერ გამოქვეყნებული ხმა, ვითომ რუსეთ-იაპონიის დამოკიდებულებას ისეთი მიმდინარეობა მიეღოს, რომ შესაძლებელია ომი მოჰყვესო. პეტერბურგსა და ტოკიოს შორის მტრული განწყობილება არ არის, პირიქით შეიძლება ითქვას, რომ მათ შორის მეგობრული განწყობილებაა. ხმები იმის შესახებ, რომ ომი მოსალოდნელია, ყოველ საფუძველს არის მოკლებული. შეიძლება ითქვას, რომ იაპონიის პოლიტიკამ უკანასკნელ დროს მშვიდობიანი ხასიათი მიიღო. ამ წერილის შესახებ „ფრემდენბლატტი" სწერს: ჩვენის აზრით წერილის შინაარსი სიმართლეს არ არის მოკლებული. არა გვაქვს საბუთი ვიფიქროთ, რომ შორეულ აღმოსავლეთში საქმე გამწვავებულია. ჩვენ ცნობა მივიღეთ, რომ რუსეთი და იაპონია მეგობრულ ხელშეკრულებას დასდებენო.

**ბუფფალო.** 26 ნოემბერს ერიის ტბაზედ დიდი ქარიშხალი ამოვარდა. დაიხრჩო 52 კაცი.

**ვაშინგტონი.** მთავრობის ბრძანებით კოლონაში გაიგზავნა სატრანსპორტო გემები და 700 მატროსი.

### ჰაერში ფრენა.

**სტამბოლი.** 22 ნოემბერს თავის ჰაეროპლანით გაფრინდა ბლერიო. ჰაეროპლანი დაეჯახა სახლს და დაზიანდა. ბლერიო გადარჩა.

**სტამბოლი.** ბლერიო თავის ჰაეროპლანით აფრინდა მარსის მოედანზე. დიდი ქარის გამო ბლერიომ ვეღარ შესძლო ჰაეროპლანის მობრუნება. ჰაეროპლანი სახლს დაეჯახა. სახლის სახურავი სულ ერთიანად დაინგრა. ჰაეროპლანი გაფუჭდა. ბლერიო 4 საჟენის სიმაღლიდან ჩამოვარდა. ბლერიოს დაუშავდა მარცხენა მკლავი და გვერდი.

### რუსეთი

**ასტრახანი.** სოფელ ბეზკულაკში შავი ჭირი გაჩნდა. გარდაიცვალა 4, ავად არის 8 კაცი.

**მინსკი.** უეცრივ გარდაიცვალა გუსტავ შმიდტი. შმიდტი სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატად ნამყოფია, მაგრამ იქიდან განდევნეს. განსვენებული „ჭეშმარიტ რუსთა კავშირის" წევრი იყო.

**ვიატკა.** კლიმკოვის რკინეულობის ქარხნის მუშებმა ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრს მიმართეს, ქარხანა ჩვენ გადმოგვეცით, კოოპერაციას დავაარსებთო.

**ტამბოვი.** სოფელ ლეონტიევკაში ბოროტ-განმზრახველებმა მოჰკლეს მამასახლისი, გაძარცვეს საკრედიტო საზოგადოების კასსა, წაიღეს 1500 მანეთი. ერთი ბოროტ-განმზრახველი იცნეს.

**სიმფეროპოლი.** ფეოდოსიევის მაზრაში თავს დაეცნენ მემამულე კრიმის სახლს. ბოროტ-განმზრახველებმა მოჰკლეს კრიმის მამულის მოიჯარადრე. პოლიციამ დააპატიმრა ერთი ბოროტ-განმზრახველი. წაღებული ნივთები ამ ბოროტ-განმზრახველს მიჰქონდა. სამი ბოროტ-განმზრახველი გაიქცა.

**მოსკოვი.** ღამე დააპატიმრეს ბევრი ხალხი. აბრალებენ არალეგალურ ორგანიზაციების წევრობას.

**მოსკოვი.** დღე-ღამეში ხოლერით ავად გახდა 13, ავად არის 31 კაცი.

**კიევი.** გუბერნიაში ერთ დღის განმავლობაში ხოლერით ავად გახდა 18, გარდაიცვალა 7 კაცი.

**პეტერბურგი.** უკანასკნელ კვირის განმავლობაში ხოლერით ავად გახდა 6, გარდაიცვალა 4 კაცი.

**პოლტავა.** სასამართლო პალატამ განიხილა 14 კაცის საქმე. ბრალდებოდათ, 1905 წელს ზენკოვსკის საპოლიციო სამართველოზე თავდასხმა, ცემა მაზრის უფროსისა, ბოქაულისა და უბნის ზედამხედველისა. სასამართლომ [illegible] სამს—ტუსაღთა განყოფილება, 7 [illegible] გაამართლა.

**პეტერბურგი.** ოლქის სასამართლომ გაარჩია სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატის პურიშკევიჩის და „კოლოკოლის" რედაქტორის სმირნოვის საქმე. ბრალდებოდათ სამთო ინსტიტუტის სტუდენტთა შეურაცყოფა. სასამართლომ ორივე გაამართლა.

**ნოვოჩერკასკი.** სადგურ გორნაზედ სამგზავრო მატარებელი დაეჯახა საქონლის მატარებელს. დაიმტვრა რამდენიმე ვაგონი. მოკვდა საქონლის მატარებლის მემანქანე. მსუბუქად დაშავდა რამდენიმე მგზავრი.

**პეტერბურგი.** „ფინლიანდსკაია გაზეტაში" სწერია: სენატმა დაამტკიცა ვიბორგის გოფგერიხტის განაჩენი პოლოვნევის შესახებ, რომელსაც გერცენშტეინის მკვლელობაში მონაწილეობის მიღება ბრალდებოდა. სენატმა პოლოვნევს 20 დღით შეუმცირა სასჯელი. ამ რიგად პოლოვნევმა საკატორღო სატუსაღოში 5 წელიწადი, 6 თვე და 16 დღე უნდა გაატაროსო.

სატუსაღოს კანცელარიაში ორმა ტუსაღმა იარაღი აჰყარა სატუსაღოს ორ ზედამხედველს, გასტეხა იარაღის ყუთი, წაიღო 4 ბრაუნინგი. ტუსაღები გაიქცნენ.

### ხოლერა

**ეკატერინოსლავი.** ერთი კვირის განმავლობაში ავად გახდა 17, გარდაიცვალა 2 კაცი.

# იუბილეი

კვირას ცუდი ამინდი დადგა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ქ-ნ ნ. მ. გაბუნია-ცაგარლის საიუბილეო დღესასწაულს ბევრი ხალხი მიაწყდა. თეატრის დარბაზი სავსე იყო.

შუა დღის 12 საათისათვის უკვე მორთული იყო ყვავილებით თეატრის შესავალი. აქვე შესავალში იყო დიდი სურათი იუბილიარისა, ახალგაზდა მხატვრის მესხის მიერ დახატული. 12 საათსა და 20 წამზე აიხადა ფარდა და გამოჩნდა მშვენივრად ყვავილებითა და ხეებით მორთული სცენა, სადაც სხვა და სხვა დაწესებულების წარმომადგენელთ და დეპუტატთ მოეყარათ თავი.

გაისმა ძლიერი ტაში სცენაზე. იუბილიარი გამოვიდა. იუბილიარს ახლდა დღესასწაულის მომწყობ კომიტეტის თავმჯდომარე ქნ. ელ. ირ. ორბელიანისა. დღესასწაული გახსნა ქნ. ე. ორბელიანისამ და მოკლეს სიტყვით მიულოცა იუბილიარს. ქართულ ფილარმონიულ საზოგადოების ქალთა და ვაჟთა გუნდმა იმღერა „მრავალ-ჟამიერი". შემდეგ დაიწყო რიგ-რიგად დეპუტატების მილოცვა. დეპუტატების მხრივ, იუბილიარს ცალ-მხარეს უსხდნენ ქ-ნი მ. საფაროვ-აბაშიძისა, მეორე მხარეს ქ-ნი ე. ჩერქეზიშვილისა.

პირველად იუბილიარს მიულოცა ქართულ დრამატიულ საზოგადოების სახელით დ. ნახუცრიშვილმა და იუბილიარს მიართვა ვერცხლის გვირგვინი. გამგეობის წევრმა ნ. ერისთავმა ლექსით შეაქო იუბილიარი. ტფილისის გუბერ. თავად-აზნაურთა სახელით ადრესი მიართვა იუბილიარს თავ. გურამიშვილმა, ხოლო ქალაქ ტფილისის მცხოვრებთა სახელით სიტყვა წარმოსთქვა ქალაქის თავის მოადგილემ ალ. ი. ხატისოვმა. ხატისოვის სიტყვამ ძლიერი ტაში გამოიწვია. ტფ. საარტისტო საზოგადოების სახელით იუბილიარს მიულოცა ის. მ. დოლუხანოვმა; ტფ. ჟურნალისტთა საზოგადოების მინდობილებით მ. ა. ჯაბარმა, წ.-კ. გ. საზოგადოებისა ალ. თ. ყიფშიძემ, სცენის მოყვარეთა ჯგუფის მინდობილებით ბუკშტეინმა; ბ-ნმა სოკრატოვმა ლექსით მიმართა იუბილიარს. ქართულ გიმნაზიის მინდობილებით ადრესი მიართვა იუბილიარს მასწავლებელმა კილოსანიძემ, სომხურ დრამატიულ საზოგადოების სახელით ბ-ნმა იოანესიანმა. იუბილიარს მიულოცეს აგრეთვე: ტფ. ქალთა

...მედიულსმა კურსებმა, სომხურმა დრამატიულმა წრემ, „ჯეჯილის“, „ნაკადულის“, „მომავლის“, „ზაკავკაზიეს“, „საქართველოს მოამბის“, „არძაგანქის“, „ტეატრ ი ისკუსტვოს“ (პეტერბურგი), „ტიფლ. ლისტის..“ და „მშაკის“ რედაქციებმა. ზუბალაშვილის სახალხო სახლის გამგე კომისიის თავმჯდომარემ თავ. ალ. მ. არღუთინსკიმ ადრესი მიართვა. მუსიკოსმა დავითიანმა სკრიპკაზე დაუკრა. მიულოცეს: სომხურ სცენის მოყვარეებმა, სახალხო უნივერსიტეტის წარმოდგენების გამმართველმა სექციამ, საზოგადო კლუბმა, რუსულმა დრამატიულმა დასმა, ავლაბრის სცენის მოყვარეთა სახელით ბ-ნმა ნასიძემ იუბილიარს სთხოვა 6 დეკემბერს ეწვიოს ავლაბრის თეატრში სცენის მოყვარეთ და მიიღოს წარმოდგენაში მონაწილეობა; ქართულ საისტორიო საეთნოგრაფიო საზოგადოების წარმომადგენელმა ალ. სარაჯიშვილმა იუბილიარს საჩუქარი მიართვა და ადრესით მიულოცა დღესასწაული; ქართულ ფილარმონიულ საზოგადოების სახელით ადრესი წაიკითხა დ. ეპიტაშვილმა, ხოლო საზოგადოების მომღერალთა გუნდმა ბ. ფალიაშვილის ხელმძღვანელობით შეასრულა „მრავალ-ჟამიერი“ და „სამშობლო, ჩემო ლამაზო“. ამან აღტაცებაში მოიყვანა დამსწრენი და ძლიერი ტაში ცემა გამოიწვია.

შემდეგ მიულოცეს: მუსიკის მოყვარულთა წრემ, სახალხო გასართობების ტფ. საზოგადოებამ, სახაზინო თეატრის საოპერო დასმა, ზუბალაშვილის სახლში სახალხო წარმოდგენების მმართველმა წრემ, საკომერციო განათლების გამავრცელებელმა საზოგადოებამ, საკომერციო და ტფ. საბალოსნო სასწავლებლებმა, მედიირე მარკოზოვმა (მშვენიერი სიტყვა წარმოსთქვა და დაირა მიართვა იუბილიარს), კავკასიის ქალთა საზოგადოებამ, ვერის სახალხო აუდიტორიის სცენის მოყვარეებმა, ქალაქის სკოლების ქართველმა მასწავლებლებმა, ავლაბრის სომხურ სცენის მოყვარეებმა, ქუთაისის ქალთა წრემ, ჭიათურის დრამატიულმა საზოგადოებამ.

ქალაქ გორის წარსომადგენლებმა ძვირფასი საჩუქარი მიართვეს იუბილიარს და მიულოცეს ადრესით. აღტაცება და ძლიერი ტაში გამოიწვია გორის დეპუტატის თედო რაზიკაშვილის ლექსმა „ვინა სთქვა დაძაბუნდა“. მეთარეებმა დაუკრეს. მეგრელ ქალთა წარმომადგენელმა იუბილიარს მიართვა 200 მან. ფულად და ადრესი. იუბილიარს მიულოცის წ.-კ. საზოგადოების ფოთის განყოფილებამ, მოგვარეთაგან—ბ-ნმა გაბუნიამ, წვრილ ვაჭართა საზოგადოებამ, პოლშელთა სახლმა (დიდის ტაშით მიეგებნენ), არტისტმა ივ. სარაჯიშვილმა სიმღერით მიულოცა იუბილარს და ისეთი დიდი ტაში გამოიწვია, რომ სიმღერა გაამეორებინეს. იმღერა შემდეგი ლექსი:

ნიჭით ცხებულო, ამაღლებულო,
სულის და გულის დამტყვევებელო,
იცოცხლე მარად, ჩვენ გასახარად,
რომ გვლაგ დაგვატკბო და გვასახელო!
შენ ხარ ყვავილი სამშობლო სცენის,
შვენა პატივს გცემს და კიდეც გშვენის,
შენ ხარ სცენისა დროშა-ალამი..
მიიღე ჩვენგან წრფელი სალამი!

შემდეგ დაიწყეს დეპეშების კითხვა. დეპეშა მრავალი მოვიდა და მხოლოდ ორიოდე წაიკითხეს. ფოთის ქალაქის თავი ნ. ი. ნიკოლაძე ულოცავს იუბილარს და დრამატიულ საზოგადოების გამგეობას ჰპირდება იუბილიარის უზრუნველ საყოფელად ფულის გადადებაში მონაწილეობას მივიღებო. თავ. პ. ი. თუმანიშვილს გადაუდვია 300 მანეთი პრემიად ერთ მოქმედებიან ორიგინალურ პიესის დამწერთა დასაჯილდოვებლად. პირველ პრემიად დაინიშნება 200 მან., მეორე 100 მ ვადა ერთი წელიწადია. დეპეშებითვე იუბილიარს მიულოცეს დრამატურგმა და მსახიობმა იუჟინმა—სუმბათაშვილმა, ლადო მესხიშვილმა, ეფემია მესხმა, ოზურგეთისა, ბათუმისა და სხვ. დაწესებულებებმა.

იუბილიარს მიართვეს მრავალი საჩუქარი ნივთად და ფულად, დაფნისა და ყვავილების გვირგვინები.

დასასრულ, თვით იუბილიარმა წარმოსთქვა სიტყვა, როდესაც გრძნობა სძლევს გონებას, შეუძლებელია დალაგებულის სიტყვით გამოხატვა იმ მადლობის გრძნობისა, რომელსაც ახლა მე განვიცდი. ღირსიც არა ვარ თქვენი ამდენი ყურადღებისა და პატივის ცემისა. გმადლობთ ბატონებო. მე როგორც აქამდე, ამიერიდანაც ვეცდები ვემსახურო სამშობლო სცენასაო.

იუბილიარი ძლიერის ტაშით გააცილეს.

საღამოისა თეატრს იმდენი ხალხი მიაწყდა, რომ ტევა აღარ იყო. ორკესტრის ადგილი გაჭედილი იყო. ბევრი გასავლებში ფეხზე იდგა. ყველას და ყველაფერს სადღესასწაულო ელფერი ედო.

ამ საღამოთი წარმოადგინეს: უკანასკნელი მოქმედება „ორი ობოლისა“, მესამე მოქმედება გ. სუნდუკიანცის „დაქცეულ ოჯახისა“ და პირველი მოქმედება ავქ. ცაგარლის „ხანუმასი“. სამმავე მოქმედებამ საუცხოვოდ ჩაიარა. არც საკვირველია: ცალკე კარგი მომზადება და ცალკე კიდევ სადღესწაულო აღფრთოვანება. რასაკვირველია, ყველას ყურადღებას იქცევდა იუბილიარის ხელოვნური თამაშობა, თამაშობა თავის საუკეთესო როლებში.

მეორე და მესამე მოქმედების შუა ამხანაგმა მსახიობებმა სცეს პატივი იუბილიარს. ფარდა რომ აიხადა სცენაზე იდგნენ მსახიობი ქალები და კაცები. იუბილიარი გამოიყვანა მხცოვანმა დრამატურგმა გაბრიელ სუნდუკიანცმა. მანვე მიმართა პირველად ქართულად მოკლე სიტყვით—მიულოცა დღესასწაული და უსურვა ხანგრძლივი მოღვაწეობა და მერე გადაჰკოცნა. როგორც ამ სიტყვამ, ისე იუბილიარის გამოსვლას დამსწრენი აღტაცებულის ტაშით მიეგებნენ.

შემდეგ იუბილიარს სიტყვით მიმართა ჩვენი სცენის დამამშვენებელმა ოცდა-ათის წლის განმავლობაში და იუბილიარის ამხანაგმა მარიამ საფაროვ-აბაშიძისამ. აი მისი სიტყვა:

ძვირფასო ნატო!

მოგილოცავ ბრწყინვალე დღესასწაულს! მე ვიყავ მოწამე იმისა, თუ როგორ იდგამდა ფეხს ჩვენი სამშობლო ხელოვნება და მასთან ერთად როგორ იფურჩქნებოდა შენი ნიჭი. და, აი, შემიძლიან გულ ახდით ვთქვა, რომ შენ და ქართული სცენა განუყრელნი ხართ, ურთმანეთისათ წარმოუდგენელნი. ამიტომ არ მიკვირს, რომ ყოველი ქართველის გული დღეს სიამით სძგერს.

ნება მომე მეც, შენს ძველს ამხანაგს და თანა მშრომელს შეუერთო ჩემი გულის მოძრაობა ამ საერთო გულის ძგერას და გითხრა: თუმცა მარტო ვარდით არ იყო ფენილი ის გზა, რომელიც შენ განვლე და რომელმაც ამ დღესასწაულამდე მიგიყვანა, თუმცა ეკალიც ბევრჯელ გხვედრია წილად, მაგრამ სამაგიეროდ შენმა უებრო ნიჭმა, შენმა დაუღალავმა ხანგრძლივმა შრომამ აუგიზგიზა ყოველ ქართველის გულში გრძნობა გონების წალკოტი და იცოდე ჩემო, ნატო, საუკეთესო ვარდი ამ წალკოტისა შენთვის იქნება დღეს მოწყვეტილი და გაიფინება შენს ფეხქვეშ ფიანდაზად ისე, როგორც მე გიმღი ამ ყვავილებს... დიდება შენს წარსულს და ვაშა შენს აწმყოს!..

ამ სიტყვებთან ერთად მსახიობმა ვარდები მოჰფინა.

კონსტანტინე მესხმა შემდეგი მოკლე სიტყვით მიმართა იუბილიარს:

საყვარელო დაო ნატო!

მოდი დავანებოთ თავი თეთრადაღურ კილოს და უბრალო მეგობრულ კილოზე გეტყვი ორიოდე სიტყვას და გეამბორები.

ოცდა ათი წელიწადი ვმუშაობთ. დავბერდით მე და შენ, ნატო. აქ, ამისთვის ბევრნიც გვიკიჟინებენ, მაგრამ თუ ოცდა ათი წლის შემშილმა ვერ გაგვტეხა და ასე მხურვალად დავრჩით —კიჟინი რას დაგვაკლებს! განვაგრძოთ მუშაობა. იყავი კარგად და სხვა დარდს გულში ნუ გაიტარებ!!

დასასრულ, იუბილიარმა მადლობა გადაუხადა ამხანაგებს და სთქვა: ამ დღესასწაულს მნიშვნელობა უფრო ახალ-გაზრდა მსახიობისთვის აქვს, გამხნევდებიან და მეტის ხალისით და ძალით განაგრძობენ თავიანთ ძნელ მუშაობასაო.

წარმოდგენის შემდეგ გაიმართა მშვენიერი ცოცხალი სურათი—იუბილიარი სხვა-და-სხვა როლებში. წარმოდგენას რეჟისორობდა კ. შათირიშვილი.

ტაშს დასასრული არა ჰქონდა, ასევე მოხდა წარმოდგენის გათავებისას.

29 ნოემბერს იუბილიარმა ქ-ნ ნატალია მერ. გაბუნია-ცაგარლისამ მიიღო შემდეგი საჩუქრები: ქართულ დრამატიულ საზოგადოებისაგან—ვერცხლის გვირგვინი, სომხურ დრამატიულ საზოგადოებისაგან—ვერცხლის სერვიზი, გორელებისაგან—ვერცხლის ჭურჭელი და ხონჩა, გორის მაზრის სოფელ ტყვიავის გლეხებისაგან—აზარფეშა; ე. და კ. გაბუნიასაგან—ვერცხლის სერვიზი, მარკოზოვისაგან—დაირა, ა. მელიქოვისა და თავ. ვ. თარხნიშვილისაგან—ბრილიანტებით შემკული პეპელა, სოხუმის ქართველ საზოგადოებისაგან—200 მან. გარდა ამისა, სოხუმის საზოგადოებას იუბილიარისადმი ნიშნად პატივის ცემისა გაუნთავისუფლებიათ 50 მოსწავლე სასწავლო გადასახადისაგან; დ. ი. ზუბალაშვილისაგან—100 მან., ფოთის საზოგადოებისაგან—100 მანეთი ფირალაშვილებისაგან—ძვირფასი სარტყელი და თავ-საკრავი.

დილის საიუბილეო დღესასწაულიდან შემოსულა 900 მანეთამდე, ხოლო სალამოს წარმოდგენისაგან—1150 მან. ხარჯი არ აღემატება 500 მანეთს.

## სადგილ-მამულო საკითხი

**რაჭველებს მიწა უნდათ.**

მოგეხსენებათ, რა გაჭირვებულ მდგომარეობაშია რაჭა უმიწაწყლობით. ვისაც კი ახლოს უნახავს რაჭველის ცხოვრება, გაკვირვებული დარჩენილა, რომ ადამიანს შეუძლიან ასეთი შრომა. დიდი ხანი არ არის, რაც ზემო რაჭიდან გეახელით კარგად ვიცი, რა ყოფაშია ეს კუთხე. გაძვალტყავებული ხალხი ირყევა და ეძებს გასავალ გზას. ჯერ იყო და თერგის ოლქში ალაგირს მიადგნენ. ეხლა მასაც გადაუარეს და სოფელ ნალჩიკში დაიწყეს დასახლება. გაჭირვება რომ არ აიძულებდეთ, რა უნდათ ამ შორეულ ადგილებში, სადაც დიდი დრო უნდა, რომ შეეთვისოს ადგილ-მდებარეობას და ხალხს. დიდის სიამოვნებით გადმოსახლდებოდნენ კახეთში ან საქართველოს სხვა კუთხეში, სადაც თავისუფალი ადგილებია. რაჭველებმა არაფერი იციან ამ ადგილებას შესახებ. საჭიროა ხელმძღვანელი, დამამხარებელი. ურიგო არ იქნება, ეს საქმე იკისროს სადგილ-მამულო კომისიამ ან სხვა ვინმემ.

ამას წინად წავიკითხე თქვენ გაზეთში (მე-249 ნომერში) წერილი, სადაც ბ-ნი ტყავაძე აუწყებს მკითხველთ, რომ ივრის პირად იყიდება 2000-დე დესეტინა მამული თავ. მალხაზ ანდრონიკაშვილისა. თუნდა ეს ადგილი ავიღოთ. რაჭველები სიამოვნებით დასახლდებიან, მით უმეტეს დესეტინას ოთხ-ხუთ თუმნად ჰყიდის პატრონი. მაგრამ სიტყვა რომ საქმედ იქცეს, საჭიროა სადგილ-მამულო კომისიამ ცოტა თავი გამოიდოს და ფორმალური ცნობა გაჰგზავნოს თავის სახელით რაჭის მაზრის შემდეგ სოფლებში: ღებში, ჭიორაში, უწერაში, ნაკიეთში და თვით ონში და შეატყობინოს, რომ იყიდება კახეთში კარგი სახნავ-სათიბი და საცხოვრებელი ადგილები. ეს მიმართვა იმიტომ არის საჭირო, რომ გლეხები უფრო ნდობით მოეპყრობიან საქმეს. დარწმუნებული იყავით, რომ რამდენიმე კვირის განმავლობაში კარს მოგადგებათ ადგილის შესაძენად სოფლის დეპუტატები. **ღებელი.**

## მოწერილი ამბები

**კიევი.** სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ ყველა ის სანუგეშო ცვლილება, რომელმაც ამ ბოლო დროს თავი იჩინა კიევის ქართველ სტუდენტთა ცხოვრებაში. სწორე მოგახსენოთ, მე, როგორც მოწმეს იმ უშინაარსო ცხოვრებისა, რომელსაც ახლო წარსულში მისდევდა ჩვენი სტუდენტობა, არ მოგელოდი ასეთ ჩქარს გამობრუნებას კეთილ გზაზე. ეხლა აშკარაა, რომ ჩვენმა სტუდენტობამ თავი დაახწია ტრადიციონულ გულგრილობას და დაუდევრობას. ამას, სხვათა შორის, მოწმობს 7 გიორგობისთვეს გამართული ქართული საღამო. რუსეთში ადვილ საქმეს არ წარმოადგენს ასეთ საღამოების მართვა. განსაკუთრებით კი ძნელია ეს საქმე აქ, კიევში, ამ მემარჯვენეთა რეზიდენციაში; სადაც ქართველებს სრულებით არ გვიცნობენ (კერძოდ მე არა ერთხელ გამიგონია რომელიმე ინტელიგენტ ებრაელის ანუ რუსისაგან: „განა ქართველებს ან-ბანი გაქვთო?“) თუ გაიხსენებთ აქაურ უნივერსიტეტის მემარჯვენე პროფესორებს; ამ უნივერსიტეტში შემოღებულ ნიკოლოზ 1-ლის დროის წესებს; აგრეთვე იმ გარემოებას, რომ „საბალო კომისიას“ თითქმის ხუთხუთჯერ უხდებოდა მისვლა რექტორთან ამა თუ იმ კრებისთვის ნებართვის ასაღებად; თუ გაიხსენებთ იმ უმგზავსო უტაქტიკობას, რომელიც ჩაიდინეს უნივერსიტეტისა და საკომერციო ინსტიტუტის „კავკასიურმა სათვისტომოებმა“, მიხვდებით რამდენად გაძნელებული იყო საღამოს გამართვა. მაგრამ ქართ. სტუდენტობამ სძლია დაბრკოლებას და არა თუ გამართა საღამო—ბრწყინვალეთაც დააგვირგვინა.

საღამო გაიმართა მედვედიევის სათეატრო დარბაზში და პასუხის მგებელ გამგედ იყო ცნობილი არტისტი ბლიუმენტალ-ტამარინი. მონაწილეობას იღებდნენ ოპერის საუკეთესო ძალები. იყვნენ აგრეთვე კრუჩინინის დრამატიულ დასიდანაც. პროგრამა საღამოსი შეიცავდა საკონცერტო განყოფილებას, დეკლამაციას, ცოცხალ სურათებს ქართული ცხოვრებიდან, ლეკურს, ბანდალურს და ევროპიულ ცეკვებს. სამწუხაროდ, პროგრამიდან ზოგიერთი ნომერი გამოტოვებული იქმნა. მაგ. პროგრამაში აღნიშნული იყო ზ. ფალიაშვილის და კარგარეთლის რომანსები, მაგრამ საზოგადოებას არც ერთი მათგანი არ მოუსმენია. გარდა ამისა, მოძღვართა გუნდს პროგრამით უნდა შეესრულებინა ოთხი ქართული სიმღერა: „გუშინ შვიდნი გურჯანელნი“, „ორმოცის წლის ბებიაო“, „იავ-ნანა“ და „სიმინდსა თოხნა დავუწყე“ გუნდმა უკანასკნელი სიმღერა გამოსტოვა. გუნდი სუსტობდა, მაგრამ მიუხედავად ამისა, სიმღერებმა კარგი შთაბეჭდილება მოახდინა.

ცოცხალ სურათებიდან დასდგეს „მიჯაჭვული ამირანი“ ქართულ ლეგენდის გადმოცემით, „სამშობლოდან“—„ფიცი“ და „ქართული ქეიფი“ (?!). არ შემიძლიან აღუნიშნელად დავტოვო ეს სურათი. ნათქვამია: „კარგი რამ გაპირდეს, გიკვირდეს, ავი რა საკვირველია“-ო. ჩვენ კარგი და საინტერესო უნდა ვაჩვენოთ უცხოელებს, უამისოდაც ყველამ მშვენივრად იცის, რომ ქართველები ქეიფობაში საკმაო ნიჭის პატრონნი ვართ. „მიჯაჭვულმა ამირანმა“ ყველაზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. რამდენჯერმე აახდევინეს ფარდა და უზომო ტაშის კვრით ეგებებოდნენ „ამირანს“. ბევრი აცინა საზოგადოება კინტოურს ტანისამოსში გამოწყობილმა, თანახით თავზე სტ. კ-მა, რომელიც ხან-გამოშვებით შეჰყვირებდა ხოლმე ტიპიურად „დუდი, აბდოკუ“. არა უშავდა-რა მის ბანდალურსაც დოლს და დუდუკზე. მოეწონათ, რასაკვირველია, ლეკურიც. საინტერესოა, რომ დამსწრე ქართ. ქალთაგან არც ერთს არ უთამაშნია ლეკური. დარბაზი მთლად გაჭედილი იყო და საზოგადოება მშვენიერის შთაბეჭდილებით დაიშალა დილის ხუთ საათზე.

საღამოს დაესწრო უნივერსიტეტის რამდენიმე პროფესორები და რექტორი ბ-ნი ციტოვიჩი. ამ უკანასკნელმა წასვლის დროს ქართ. სტუდენტებს მიმართა შემდეგის მოკლე სიტყვით: „ბატონებო! არც ერთს საღამოზე არ დამხვედრია ასეთის თბილის გრძნობებით და სიხარულით, როგორც თქვენს საღამოზე. დიდათ მოხარული ვარ ქართველების გაცნობას დღევანდელ საღამოზე. გმადლობთ და უსურვებ საქართველოს შვილთ წარმატებას მომავალში“.

ვიტყვი ორიოდე სიტყვას ქართ. სტუდენტობასა და „კავკასიურ სათვისტომოების შორის მომხდარ ინციდენტზე. ეს ინციდენტი, რომელიც მოკლედ უკვე აღნიშნული იყო „დროება“-ში, გამოიწვია უმთავრესად უნივერსიტეტის „კავკ. სათვისტომომ“ ამ სათვისტომოს გამგეობამ, უკეთ რომა ვსთქვათ, მთელმა სათვისტომომ, რომელშიაც შედიან უმეტესად სომხები და რუსები, იცოდა (საბუთები არის), რომ შვიდ გიორგობის თვეში ქართ. სტუდენტები მართავდნენ ქართულ საღამოს, მაგრამ მაინც არ დაიშალა და გადასწყვიტა საკომერციო ინსტიტუტის „სათვისტომოსთან“ ერთად (როგორც გამოირკვა შემდეგში, უკანასკნელი სათვისტომო პირველს შეცდომაში შეეყვანა), გაემართა წარმოდგენა ზედ ქართულ საღამოს წინადღეს, ე. ი. ექვსში, რისთვისაც უკვე დაეწყოთ ბილეთების ხელზე გაყიდვა. ეს ჩაიდინეს მათ იმ დროს, როდესაც ჩვენი საღამოს გამართვა გადაწყვეტილი იყო თითქმის ორი თვით ადრე და ანონსი გამოცხადებული ორი კვირით ადრე. უნივერსიტეტის „კავკ. სათ—ოს“ თავის წარსულში სხვაც ბევრი არა საკადრისი საქციელი ჩაუდენია ქარ. სტუდენტების მიმართ. ყველა ამან საბუთიანად აღელვა ჩვენი სტუდენტობა, და 24 დვინობისთვეს მომხდარ მორიგ კრებაზე გამოიტანა რეზოლიუცია, რომლითაც „სწყვეტს ყოველნაირ ამხანაგურ დამოკიდებულებას და კავშირს ხსენებულ სათვისტომოსთან“. ქართ. სტ—თა რეზოლიუციას შეუერთდა თათარ სტუდენტთა ფრაქციაც. ამ უკანასკნელმა მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც, სხვათა შორის, ნათქვამია: „ქართ. სტ.-თან ერთად შეერთებული ფრაქცია პოლიტექნიკუმსა და უნივერსიტეტში მყოფ თათარ სტ—თა ჰგმობს „კავკ. სათვ.“ საქციელს, მოკლებულის ყოველნაირ ამხანაგურ და სოლიდარულ ეთიკის წეს-რიგს*)“. ეს რეზოლიუცია წაკითხულ იქმნა ქარ. სტ—თა უკანასკნელ კრებაზე. ასეთია ხასიათი და შინაარსი მომხდარ ინციდენტისა.

შევეხები გაკვრით ზემო-აღნიშნულ კრებასაც. კრებამ, გაიხსენა რა ერთი ამხანაგის მოხსენებით ის, თუ როდის ასრულებდა უდროოდ დაკარგული და დაუვიწყარი ამხანაგი თომა მჭედლიშვილი კიევის ქარ. სტ—თა ცხოვრებაში, პატივი სცა მის ხსოვნას ფეხზე ადგომით და შემდეგ გადავიდა მორიგ საკითხებზე, რომელთა შორის ჩვენს ყურადღებას იქცევენ კასა და საკითხი ბიბლიოთეკის შესახებ. კასა, რომელიც აქნობამდე ამოშვებილი იყო სასაცილო თამასუქებით, ცალკე ხალამოდან გადარჩენილ შემოსავლით (417 მ. 33 კ.), ზოგი „შემოწირულებით“ და ზოგიერთ პატიოსან მოვალეთა მიერ დაბრუნებულ ვალით, უმჯობესდება. ასე რომ პირველ ნახევარ წელს კასა რამდენსამე ახალგაზრდა ქართველს გაუწევს დახმარებას. რაც შეეხება კულტურულ მხარეს ჩვენი სტ—ის ცხოვრებისას, ვიტყვი, რომ გასულ წლების სურვილს კულტურულ მუშაობისას სცვლის აწმყოს ცდა და პრაქტიკული ნაბიჯები ამ მხრივ. ასე, მაგ., კრებაზე დაადგინეს დაარსონ ქართ. ბიბლიოთეკა და გამოიწერონ ქართ. პერიოდული გამოცემები. გარდა ამისა, როგორც კერძო ლაპარაკში გადმომცეს, ჩვენ სტ—ბის ერთს წრეში განზრახვაა რამდენიმე რეფერატი მოაწყონ უკრაინელების კლუბში ქართული მწერლობიდან. ზემო აღნიშნულ გარემოებანი ნებას მაძლევს ვსთქვა, რომ კულტურულ საკითხს აქაურ სტ—თ ცხოვრებაში ეძლევა პრაქტიკული ელფერი. [illegible]

*) თათრული ფრაქცია არ შედის „კავკასიურ სათ-ში“. ავტორი.

## სპარსეთის ამბები

ამ დღეებში ვწერდით, რომ სპარსეთის ელჩმა მოსთხოვა ოსმალეთის მთავრობის ჯარის უკან გაწვევა. რიფაად-ფაშამ წერილი დაბეჭდა „ტანინში“ და სხვათა შორის სთქვა, რომ ოსმალეთის მთავრობა მოწადინებულია მეგობრული განწყობილება იქონიოს სპარსეთთან. მთავრობა თანახმაა შერეული კომისია იქმნას დაარსებული მიჯნის საკითხის გადასაწყვეტად, ამასთან მთავრობა აუცილებლად გამოიყვანს ჯარს სპარსეთის ტერიტორიიდან, თუ სპარსეთის მთავრობა უზრუნველჰყოფს საზღვარზე წესიერების დაცვას.

**ხოლერა რუსის ჯარში.**

ასტარიდან ატყობინებენ „კასპის“, რომ იქ ხოლერა გაჩნდა და დღეში 5—6 კაცი კვდება. ავად გახდა მინგრელსკის პოლკის ერთი ჯარის კაცი.

**გილანის რაზმის წასვლა.**

„ბაქოს“ კორესპონდენტი იუწყება, რომ გილანის რაზმი გავიდა ასტარიდან. რაზმის ერთი ნაწილი გემებით გაემგზავრა, მეორე ნაწილი, ცხენოსანი ჯარი—ამიდუს-სალთანეს უფროსობით გაემართა კასპის ზღვის ნაპირ-ნაპირ. სარდარბალიმ ერთი ასეული ასტარაში დასტოვა, ერთი ასეული გაფარ-ხანის უფროსობით გაიგზავნა კერკერუდში.

რაც ასტარაში შეიპყრეს ჰუსეინალი, ქურდობა და ძალმომრეობა მოისპო და მშვიდობიანობა დამყარდა.

24 ნოემბერში ასტარაში დაბრუნდა მინგრელსკის პოლკის ერთი ნაწილი. არდებილში დარჩება ამ რაზმიდან 500 კაცი, ხოლო დანარჩენი ნაწილი სხვაგან წავა.

## აღმოსავლეთი

**იაპონიის სამხედრო სამზადისი.**

იაპონიას შეუკვეთია კრუპის ქარხანისათვის: 144 ზარბაზანი ორ საველე ბრიგადის შესაიარაღებლად, 25 ზარბაზანი, რომელიც პირდაპირი სროლისათვის არის მოწყობილი და 15 ციხის ზარბაზანი. ერჰარტის ქარხანაში შეუკვეთია 50 ტყვიის მფრქვეველი, ახალი სისტემისა. ამასთან ჰამბურგში როზველის ფაბრიკას შეუთვლეს სანიმუშოდ გაუგზავნონ იაპონიას ახალი ასაფეთქებელი ნივთიერება, რომელიც გაცდებით უფრო ძლიერია მინებსა და ტარპედებზე და ამასთან უფრო პატარა ადგილიც უჭირავს.

**იაპონიის ახალი რუკა.**

„რუსკ. სლოვოს“ ოდესელი კორესპონდენტი იუწყება, ერთმა სტუდენტმა იაპონიაში მოგზაურობის დროს იყიდა იაპონიის რუკა და ოდესის უნივერსიტეტის პროფესორს ტანფილიევს გადასცა. მთელი დიდ-ოკეანეს რუსეთის სანაპირო იაპონიის ტერიტორიაში არის შეტანილი. იმავე ფერით არის დახატული, როგორც იაპონია: ვლადივოსტოკი, ჩუკოტსკის ყურე და კამჩატკა—იაპონიის ფერით არის დახატული. ზედ აწერია: ახალი ადგილები, რომლებიც იაპონიამ უნდა დაიპყროს. ოხოტსკის ზღვას აწერია—ეს ზღვა მალე ძალით უნდა დაიპყროს იაპონიამაო. ვლადივოსტოკის ახლო ადგილებს აწერია: „გახსოვდეს, რომ რაც შეგიძენია შენია, მაგრამ რაც მეტია—საზარალო არ იქნება.

ვგები ეს რუკა ვინმე მეწვრილმანემ გამოსცა მოგების გულისათვის და გაზეთი „რუსკ. სლოვო“ კი ამბობს, კარგი დამახასიათებელი საბუთია იაპონელების სულისკვეთების შესატყობადაო.

უცხოეთის გაზეთები გადმოგვცემენ, რომ ჩინეთის ცენტრალური მთავრობა ძალზე დააფიქრაანა უცხოელების მოღვაწეობამ ტიბეტსა და მონღოლიაში. ჩინეთის მთავრობა სცდილობს ტიბეტი და მონღოლია თავის ნამდვილ პროვინციად აქციოს, ამიტომ უნდა მიმართოს სხვა და სხვა ზომებს უცხოელების წინააღმდეგ. თითონ მთავრობას სა-შეადება არა აქვს გამოსცეს მონღო-

ღიასა და ტიბეტში გაზეთები და სარწმუნოებრივი პროპაგანდა დაუპირდაპირს უცხოელების ქადაგებას, მხოლოდ კერძო ბინების პატრონებს აუკრძალა არ მიაქირაონ უცხოელებს თავიანთი სახლები სამლოცველოებისთვის.

ტიბეტის დალაი-ლამა წინააღმდეგია ასიმილიაციისა — სამაგიეროდ მისი ლხასული პრეზიდენტი მომხრეა, რომ ტიბეტი სავსებით ჩინეთის პროვინციად იყოს.

**სამთა კავშირი**

ამას წინად გაზეთებში ხმა გავრცელდა, რომ გერმანია სცდილობს იაპონიასა და ამერიკასთან კავშირი შეჰკრას რუსეთისა და ინგლისის წინააღმდეგ. ეხლა, როგორც „რუსკ. სლ.“ ბერლინელი კორესპონდენტი იუწყება, ეს ხმები ნამდვილად [მართლდება. ამ კავშირით გერმანიას სურს შეასუსტოს რუსეთის გავლენა მახლობელ აღმოსავლეთის საქმეებში.

**სიკვდილით დასჯა.**

იაპონიის სასამართლომ უკვე გაარჩია თავად იტოს მკვლელების საქმე და მიუსაჯა მკვლელს სიკვდილით დასჯა. ბრალდებულის დამცველებმა განაჩენი განასაჩივრეს.

**მანჯურიის საკითხი.**

გერმანიისა და ამერიკის კონსულებმა განუცხადეს მანჯურიის ვიცე-კოროლს, რომ დალნიზე იმაზე მეტი საქონელი გამოდის, რამდენიც აღნიშნული საბაჟოს წიგნებში, რომლებიც იაპონელების ხელშია. ფიქრობენ, რომ იაპონიის საქონელს უბაჟოთ უშვებენ მანჯურიაში. ვიცე-კოროლმა ანგარიში მოსთხოვა იაპონიის მოხელეებს.

ლონდონში ცნობები მიუღიათ, რომ იაპონიის მთავრობა უკმაყოფილებას აცხადებს იმაზე, რომ ჩინეთმა ხელთ იგდო მანჯურიის პოლიცია და არ შეიწყნარა იაპონიის სურვილი თავისი საკუთარი პოლიცია ჰყოლოდა ხარბინში. იაპონიის მთავრობას აზრადა აქვს პროტესტი განაცხადოს ქალაქში რუსეთის მართვა-გამგეობის წინააღმდეგ.

**აჯანყება კორეაში.**

ვლადივოსტოკიდან იუწყებიან, რომ კორეაში მოძრაობა თან-დათან ძლიერდება. კორეელები იარაღდებიან. სეულიდან იაპონიის ორი ბრიგადა გაიგზავნა მოძრაობის ჩასაქრობად. დეპეშებსა და ფოსტას უცენზუროდ არ უშვებენ.

**ციმბირის გზის მეორე ლიანდაგი.**

შორეულ აღმოსავლეთში მცხოვრებლები ომს მოელოდნენ. რუსეთის გაზეთებიც გადმოგვცემდნენ, რომ იაპონია საომრად ემზადებაო. ციმბირის გზის მეორე ლიანდაგის გაყვანას აპირობდნენ, მაგრამ ომის მოლოდინში ყველა უკან დადგა. ვაჭრობა შეჩერდა. ომის მოლოდინში აღებ-მიცემობაც მოისპო. თუ ასეთი მდგომარეობა კიდევ დიდხანს გასტანს ბევრი ფირმა გაკოტრდება და მოსპობს წარმოებას.

# თეატრი და ხელოვნება

**ქუთაის.** ოცი წელიწადია, თვალყურს ვადევნებ ქართულ თეატრს აქაც და ტფილისშიაც და არ მახსოვს, რომ ქართულს დასს ისეთი არაჩვეულებრივ შრომისა და მხნეობის უნარი გამოეჩინოს, როგორც წლეულს გამოიჩინა ქუთაისში. იყო დრო, როცა 30 წარმოდგენა სეზონში დიდ საქმედ მიაჩნდა ყველას და იშვიათად თუ გადასცდებოდა ხოლმე ამ რიცხვს წარმოდგენებისას სეზონი მაშინაც-კი, როცა დასში მონაწილეობას იღებდა ჩვენი სცენის ყველა მსახიობი, დამსახურებული თუ დაუმსახურებელი და როდესაც მსახიობთა უმეტეს ნაწილს დუბლიორებიც-კი ჰყავდა ხოლმე.

წრეულს ქუთაისის დასმა ორი თვის განმავლობაში 20 წარმოდგენა გამართა და ვერც ერთ წარმოდგენას ვერ დასდებთ მაინცა და მაინც დიდ წუნს. შეუცდომელი არავინაა და ოც გამართულ წარმოდგენაში რომ კაცმა აქა-იქა აღნიშნოს ნაკლულოვანება, ბევრს არაფერს შეადგენს, მეტადრე მაშინ, როცა წარმოდგენის წესიერ მართვას ხელს არ უწყობს არც თეატრი, არც სცენის მოწყობილება და, ნურც ამას დავმალავთ, არც თვით დასის შედგენილობა. ყველამ კარგად ვიცით, რომ ქუთაისის დასის უმრავლესობას შეადგენენ ახალგაზდა მსახიობები, რომლითაც საზოგადოებაში ჯერ სახელი არ დაუმსახურებიათ; ხოლო დამსახურებულ არტისტთაგანი მარტო ორია—ქ-ნი ჩხეიძე და ბ-ნი გუნია.

ძალა უნებურად იბადება კითხვა—რა არის ასეთ სასურველ მოვლენის მიზეზი? რამ დაჰბადა ჩვენს მსახიობში შრომის უნარი, როდესაც აქამდის იმას უკიჟინებდნენ, რომ არა შრომობო?

კარგა ხანია მას აქეთ, რაც ბ-ნმა გუნიამ აღძრა საკითხი (როცა მას ტფილისის დასის რეჟისორად იწვევდა ქართული დრამატიული საზოგადოება), რომ მუდმივი დასი შესდგეს ახალ-გაზდა მსახიობთაგან, ხოლო სახელოვანმა და დამსახურებულმა არტისტებმა, ვითარცა გასტროლერებმა, მიიღონ მონაწილეობა. ბ-ნ გუნიას აზრი მარტივი იყო. მას სწადდა შედგენა იხეთ დასისა, რომელიც დაემორჩილებოდა რეჟისორის მიერ შექმნილ რეჟიმს; ხოლო ამ რეჟიმად ის სთვლიდა განუწყვეტელ შრომას, დისციპლინის დამორჩილებას, ურომლისოდაც არაფერი საქმე არა კეთდება. დამსახურებული არტისტები,—ამბობდა მაშინ ბ-ნი გუნია,—დიდის პატივისცემის ღირსნი არიან იმ ღვაწლისათვის, რომელიც მათ გაუწიეს სამშობლო სცენას, მაგრამ ეხლა, როცა სისტემატიურ შრომის დრო დადგა, მათი მუდმივ დასში ყოფნა ვნების მეტს ვერაფერს მოიტანსო. ჯერ ერთი—საქმის მეთაურს, ვინც უნდა დააყენოთ, ჩირათაც არავინ ჩააგდებს. მეორე—როლის არჩევანში, რეპეტიციებზე სიარულში ისინი თავის ჟინიანობას არ მიატოვებენ და, დასასრულ, მათის თვით-ნებობის მიმბაძავი მთელი ახალგაზდობა გახდებაო. სულ სხვანაირად მოეწყობა საქმე, როცა ისინი გასტროლერებად იმუშავებენ დასში—მოვლენ, წინდაწინვე მიცემულ როლში გაიწაფებიან დასთან ერთად, მიიღებენ მონაწილეობას წარმოდგენაში და თავის გზაზე წავლენ. ამით ბ-ნ გუნიას ის-კი არა სწადდა, რომ ქართულ თეატრისაგან განეშორებინა მისი დამსახურებული მსახურნი. არა, მას სურვილი ჰქონდა, რომ მათთვის დრამატიულ საზოგადოებას წლიური ჯამაგირი დაენიშნა და აზრით უზრუნველ ჰყო ისინი.

ავი იყო თუ კარგი მაშინდელ პირობებისთვის ბ-ნ გუნიას პროექტი, იგი არ განხორციელდა, სამაგიეროდ მითქმა-მოთქმა და დამსახურებულ არტისტების დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. ბ-ნმა გუნიამ შემდეგშიაც სცადა თავის პროექტის ცხოვრებაში გატარება და რა-კი ტრადიცია თავისას არ იშლიდა, მერე საბოლოოდ მიატოვა.

ქუთაისის წრევანდელ სეზონში საქმე ისე მოეწყო, რომ თითქო ვისმე საგანგებოდ ეშრომოს ბ-ნ გუნიას პროექტის განსახორციელებლად. დასში დამსახურებული არტისტი, გარდა ქ-ნი ჩხეიძისა, არავინ არის; ხოლო თვით გუნია დასის გამგედ იქნა მოწვეული. ამ ნაირათ ბურთი და მოედანი თავის განზრახვის განსახორციელებლად მას დარჩა და კიდევაც განახორციელა.

ბ-ნი გუნია ცნობილია, როგორც დიდი შრომის მოყვარე კაცი. ეს უნარი მთელს დასს გადაუღლოცა და თეატრში შეჰქმნა შრომის ატმოსფერა. ყველა, დიდიდან პატარამდის, შრომობს. ერთი წუთი უნაყოფოდ არ იკარგება და ამისთანა შემთხვევაში კაცს წინ ვეღარავინ გადაეღობება თავის წადილის ასრულებაში. ამას ზედ დაურთეთ კეთილი განწყობილება საქმის მეთაურისა დასის ყველა წევრთან და მაშინ მიჰხვდებით, რად მიდის წრეულს ქართული თეატრის სეზონი ასე მწყობრად.

წინდაწინვე ბოდიშს ვითხოვ ჩვენი სცენის დამსახურებულ არტისტებთან, რადგან წინდაწინვე ვიცით, რომ ამ მცირე წერილში გამოთქმულ აზრს პირად შეურაცხყოფად მიიღებენ, მაგრამ, ჩემის ფიქრით, ეს დიდი შეცდომა იქნება. მათს შრომას და ღვაწლს წარსულშიაც და ეხლაც მე სხვაზე მეტად თუ არა, ნაკლებად არ ვაფასებ, მაგრამ არ შემიძლიან არა ვთქვა, რომ ისინი, იმით დაიმედებულნი, რომ ღვთისაგან მონიჭებულ ნიჭისა და სახელის მეოხებით არას დროს არ დაიჩრდილებოდნენ სცენაზე, არა თუ არა სცდილობდნენ გამუდმებულ შრომის ატმოსფერა შეექმნათ ქართულ სცენაზე, როგორც ეს წრეულს მოხდა ქუთაისში, არამედ აქარწყლებდნენ კიდევაც ასეთს წადილს.

**ზვარელი.**

# უცხოეთი

**ბრძოლა ლორდთა პალატის წინააღმდეგ.**

ლონდონში დიდი მიტინგი გაიმართა, დაესწრო 20,000 კაცი. მიტინგზე პროტესტს აცხადებდნენ ლორდთა პალატის მოქმედების წინააღმდეგ. ხალხი მეტად აღშფოთებული იყო ლორდების საქციელით. მუშათა პარტიის მანიფესტში სწერია, მთავარი საკითხი ის არის, ვინ უნდა იყოს ქვეყნის გამგე და მმართველი—ხალხი თუ ლორდები, რომლებიც ძველებურად კვლავ ერის ძარცვასა ლამობენ. ამავე მანიფესტში მუშათა პარტიის სამოქმედო პროგრამაა გამოცხადებული — უფლება შრომისა, ბრძოლა შიმშილობასთან და სიღატაკესთან, გაფართოვება პენსიების კანონისა, მამაკაცთა და დედაკაცთა სწორ-უფლებიანობა.

მაგრამ მარტო მუშათა პარტია არა ჰკიცხავს ლორდებს. ევანგელისტთა საბჭომაც შეიმუშავა რეზოლუცია, რომლითაც ურჩევენ მრევლს, თავისი ხმები ლორდების წინააღმდეგ მისცენ.

ტრედ უნიონებმაც გამოაქვეყნეს მოწოდება, რომლითაც იწვევენ თავის თანამოაზრეებს (1,700,000 კაცია) ლორდების წინააღმდეგ მისცენ კენჭები. უნდა ეცადნენ წინააღუდგნენ სანოვაგეზე გადასახადის დაწესებას. უნდა ვეცადნეთ გავამრავლოთ მუშათა დეპუტატების რიცხვი, რომ შევძლოთ უფრო საპართლიან საარჩევნო რეფორმის მოხდენა და რვა საათიან სამუშაო დღის შემოღება.

ირლანდიელებიც ენერგიულად ემზადებიან საარჩევნო ბრძოლისათვის. ლორდთა პალატის გაუქმებით ირლანდიელებს იმედი აქვთ თავიანთ მიდებისა. ამერიკაში გადასახლებულმა ირლანდიელებმა 400,000 მანეთი შესწირეს ინგლისის საარჩევნო ბრძოლისათვის. საზოგადოთ დიდი მზადებაა მომავალ არჩევნებისათვის.

**ბალკანეთის ფედერაცია.**

ავსტრო-ჰუნგრეთი აშკარა წინააღმდეგია ბალკანეთის ფედერაციისა. როდესაც საჭირო იქნება ავსტრო-ჰუნგრეთი მედგრად გაილაშქრებს ფედერაციის წინააღმდეგ. შესაფერ წინადადებას წარუდგენს ბოლგარიის მთავრობასაც და ოსმალეთისაც. ავსტრიის დიპლომატს ულაპარაკნია „რუსკოე სლოვოს“ თანამშრომელთან და უთქვამს, რომ ფედერაცია ავსტრიის წინააღმდეგ არის მიმართული. თუ ფედერაცია არსებულ მდგომარეობას დაიცავს—მაშინ უაზრობაა ფედერაციის დაარსება—ალბად ფედერაცია არსებულ მდგომარეობას ვერ შეურიგდება და მოინდომებს იმის შეცვლას, აი აქ ფედერაციის სურვილი და ავსტრიის ინტერესები შეხვდებიან ერთი-მეორეს.

**საბერძნეთის ამბები.**

ათინაში ხმებია გავრცელებული, რომ აჯანყებაში მონაწილეობის მიღების გამო, დაპატიმრებულთ აპატიებენ სასჯელს და გაანთავისუფლებენო. ტიპალდოსმა მოითხოვა, გამასამართლეთ, რომ საშუალება მქონდეს გამოვარკვიო თუ რამ მაიძულა აჯანყების მოხდენაო. საბრალმდებლო აქტი უკვე მზად არის. საქმე დეკემბრის ბოლო რიცხვებში გაირჩევა.

გაზეთი „Chonos“ ამხედრებულია მეფე გიორგიზე. საზოგადოდ კიდევ ძლიერია აგიტაცია დინასტიის წინააღმდეგ.

# რუსეთი

✦ **ფინლიანდიაში.** სატახტო ქალაქის გაზეთების სიტყვით, პეტერბურგში ხმა გავრცელებულა, ფინლიანდიაში ნამესტნიკს დანიშნავენო. ნამესტნიკად გენერალ კუროპატკინს ასახელებენ.

✦ **შორეული აღმოსავლეთი.** „ბაკუ“-ს პეტერბურგიდან დეპეშით ატყობინებენ: ამ დღეებში მინისტრთა საბჭოს განსაკუთრებული კრება ექნება. მინისტრთა საბჭო განიხილავს შორეულ აღმოსავლეთის მდგომარეობას. მიზეზი ის არის, რომ ამ უკანასკნელ დროს იაპონია სამხედრო მზადებაშიაო. „ბაკუ“-ს გარდა სატახტო ქალაქის და საზღვარ-გარეთის სხვა გაზეთებიც ბევრს სწერენ იაპონიის სამხედრო მზადებაზედ. გერმანელ გაზეთების სიტყვით, იაპონია რუსეთის წინააღმდეგ ემზადება.

✦ **სკოლების დაკეტვა,** სახელმწიფო სათათბიროს მაჰმადიანთა ფრაქციას ასტრახანიდან შემდეგი დეპეშა მიუღია: გუბერნატორმა ასტრახანში მაჰმადიანთა ყველა სასწავლებლები დაკეტა. სასწავლებლის გარეთ 500 მოსწავლე დარჩა. სასწავლებლების დაკეტვის მიზეზი ის არის, რომ მაჰმადიანთა სასწავლებლებში მასწავლებლებად სულ მაჰმადიანები არიან, რომელთაც სწავლა ევროპასა და ოსმალეთში მიუღიათ და ეს ქვეყნები კი „კრამოლნიკურ“ ქვეყნებად მიაჩნია ადგილობრივ ადმინისტრაციასო.

# ქუთაისის უფასო სამკურნალო

(წერილი ქუთაისიდან)

წავიკითხე რუსულ გაზეთ „ნაშ კრაი“-ში ერთი წერილი ბ-ნ მესხ-იმერისა. წერილი თავიდან ბოლომდის სიმართლეს მოკლებულია. ავტორი გვარწმუნებს, ძლიერ შემტკივა გული ქუთაისის სამკურნალოსთვისაო და ამავე დროს, სჩივის, რატომ დაიქირავა ქალაქმა ამ სამკურნალოსათვის მუდმივი ექიმიო. წინადაო, ჰგოდებს ქუთაისელი მოამბე, სამკურნალოში ავადმყოფებს იღებდნენ უფასოდ ყველა ექიმები, თვითეული თავის სპეციალურ საგანშიო. ექიმები კეთილ-სინიდისიერად ასრულებდნენ თავიანთ მოვალეობას, მაშასადამე, საჭირო არ იყო, რომ, რაკი ერთ ექიმს ქირით დაიჭერდნენ, ცხადი უნდა ყოფილიყო, რომ სხვა ექიმები აღარ გაირჯებოდნენ და აღარ მიჰხედავდნენ სამკურნალოს. ერთი ექიმისათვის კი შეუძლებელია აუარებელ ავადმყოფის ნახვა და დაკმაყოფილებაო. ამას ამტკიცებდა ერთი ხმოსანი-ექიმიცაო (ნასარიძე?) და სხ.

ჯერ ერთი. ფერშალი ბოლქვაძე, რომელიც 18 წელიწადი მსახურობს სამკურნალოში, და სხვა მნახველები და ექიმებიც ერთხმად მოწმობენ: სანამ საკუთარ ექიმს დაიქირავებდნენ, ორ უკანასკნელ წლის განმავლობაში ექიმები დანიშნულ დროზე არ მოდიოდნენ; ავადმყოფები ხშირად უცდიდნენ დილიდან 3 საათამდის და ბოლოს გაუსინჯველნი ბრუნდებოდენ უკან. მართალია, ზოგიერთი ექიმი კეთილ-სინდისიერად ასრულებდა თავის მოვალეობას, მაგრამ თავის საქმეებს ხომ ვერ მოსცდებოდა და დილიდან საღამომდის ხომ სამკურნალოში ვერ იმუშავებდა! მაშასადამე, აუცილებელი იყო დაქირავება მუდმივ ექიმისა, რომ უმწეოდ არ დარჩენილიყო აუარებელი ღარიბი ავადმყოფი. და, თუ ნაზაროვმა ითავა ეს კეთილი საქმე, ნუ თუ მადლობის მაგიერ სამდურავი უნდა ვკადროთ?!

ეს კი ვერ გამიგია: რატომ უნდა აელოთ ხელი სპეციალისტებს მუშაობაზე, თუ კი ქალაქი საკუთარ ექიმს დაიქირავებდა? რომელი სპეციალისტია ისე უსინიდისო, რომ გამებუტოს და სამკურნალოში არ იაროს „ჩემ ჯინაზე“, ე. ი. პაწაწა ბავშვივით გული დასწყდეს, რატომ მეც არ მეძლევა ჯამაგირიო. არ უარ-ვყოფ, შეიძლება იყოს ვინმე ასეთი სულ-წასული, მაგრამ რა ნება გვაქვს ერთის ნაკლი ყველას მივაწეროთ?!

არა, ბ-ნო, სამკურნალო არც ერთ სპეციალისტს არ მიუტოვებია. ორი წლის განმავლობაში, რა ხანსაც ვმუშაობ, კვირაში ორჯერ დაიარებიან: თვალის ექიმი ქორქაშვილი, ქალების ექიმი რელიგიონი, ქირურგი ბოკერია, შინაგან სნეულებათა ექიმი ხუნდაძე და ამ ბოლო დროს კანისა და სიფილისის ექიმი ბეთანოვი.

ბრძანებით, ქალაქს კონკურსით უნდა მოეწვია ექიმიო. აბა სწორედ პეტერბურგის პროფესორები მოაწყდებოდნენ და შეეკილებოდნენ ერთმანეთს ხუთ-თუმნიან ადგილს (მთელი წელიწადი ხუთი თუმანი მეძლეოდა თვეში)!

ერთი კიდევ. კორრესპონდენტი ამბობს: ვასილ წერეთელს ნაზაროვმა უშოვა ადგილი და მერე ჯამაგირი გაუდიდა, რადგან აკაკის იუბილეის დროს ნაზაროვსა და ბადრიძეს შორის მომხდარ ინციდენტის შემდეგ ნაზაროვი ძლიერ დაუმეგობრდა ვასილ წერეთელსაო, ჯერ ერთი: აკაკის იუბილეი აგერ ახლა იყო, მე კი ორი წელიწადია, რაც ადგილი ვიშოვნე, მეორე: ადგილი ჩამაბარეს და შემდეგ ჯამაგირი მომიმატეს ქალაქის საბჭომ და სათათბირომ და არა ექიმმა ნაზაროვმა, მესამე: ხსენებულ ინციდენტის დროს მე ნეიტრალიტეტი მეჭირა, მხოლოდ სიმართლე აღვნიშნე—და არც ერთ მხარეს არ მოვფერებივარ.

არა, ბ-ნო მესხ-იმერო, სამკურნალოს რიგიანად მიჰყავს საქმე და სინდისიერად ასრულებს თავის მოვალეობას. მუშაობა ყოველ დღე წესიერად სწარმოობს დილის თერთმეტ საათიდან ნაშუადღევის ორ საათამდის. წელს ათი თვის განმავლობაში 12 ათას ავათმყოფზე მეტს აღმოვუჩინეთ შემწეობა. და თუ გული შეგტკივათ, ნუ კი გაგვებუტებით, მობძანდით და დაგვეხმარეთ! მაგრამ ნათქვამია: „კარგი რამ გჭირდეს, გიკვირდეს, ავი რა საკვირველია“!

**ვასილ წერეთელი.**

# წერილი რედ. მიმართ

მოწყალეო ხელმწიფევ, ბატონო რედაქტორო! თქვენ მიერ აღძრული პოლემიკა ჩემ წინააღმდეგ დაჟინებით ითხოვს სამედიატორო სამართალსა, მეტადრე უკანასკნელი თქვენი ფრაზა, რომლითაც თქვენ მაბრალებთ სოციალისტების დევნას პოპეჩიტელთან ერთად. მე უიარაღო ვარ, „საქართველოს მოამბეს“ ვერ გავხდი პოლემიკის მოედნად. და ამიტომ ვთხოვ, რომ სამედიატორო სამართალში გამოვიყვეთ. მედიატორებად ვასახელებ: ვასილ ყიფიანსა და ფილიპე გოგიჩაიშვილსა. თქვენც ამოარჩიეთ ორი მედიატორე იგინი ჩემ მედიატორებთან ერთად ამოირჩევენ მეხუთეს, თავმჯდომარესა, და საქმის გარჩევას შეუდგებიან.

თქვენი **იაკობ გოგებაშვილი.**

**რედაქციისაგან.** უარი უნდა მოვახსენოთ ბ-ნ იაკობ გოგებაშვილს. ჩვენ იმის პიროვნების წინააღმდეგი არა გვაქვს-რა. გვქონდა მასთან იდეიური პოლემიკა, აღვძარით პრინციპიალური საკითხი და ამაზე გაზეთს საკუთარი აზრი აქვს, საკუთარი შეხედულება. რა უნდა გაარიგოს სამედიატორო სასამართლომ პრინციპიალურ პოლემიკაში? ჩვენ აზრადაც არ გვქონია ბ-ნ გოგებაშვილის პირადი შეურაცხყოფა და არ ვიცით, რა საგანი ექნება გასარჩევი სამედიატორო სასამართლოს. ბ-ნი გოგებაშვილი [illegible] ერთ ფრაზას, [illegible] ჩანს, ვერ-გაუგია ამ ფრაზის მნიშვნელობა: [illegible] არის ლაპარაკი, ხოლო იდეიურ წინააღმდეგობის აღნიშვნა შეურაცხოფად არ ჩაითვლება.


# განცხადებანი

**პირველი კერძო სამკურნალო**

**დოქტ. ნავასარდიანისა**

დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ყოველ დღე, კვირეებს გარდა

**დილით:**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.
**უ. მ. ჩიქოვანი:** $9\frac{1}{2}$—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
**ნ. ტ. მუღლინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
**ა. მ. პუგინოვი:** 12—1 ს. შინაგან ბავშვებისა და ყვავილის აცრა.
**ა. ი. კარაპეტიანცი:** 1—$1\frac{1}{2}$ ს. შინაგან და საბავშვო.
**ნ. ვ. ალბრეხტი:** 12—$1\frac{1}{4}$ ს. შინ. და ბავშვ.
**ო. ვ. გეევსკაია-ენგელი:** 12—1 ს. საშ., ქალ. და ბავშვ.

**საღამოთი:**

**ო. ვ. გეევსკაია-ენგელი:** 6—$6\frac{1}{2}$ ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
**ი. ფ. მარციშევსკი:** 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.
რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი
მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**
(წ.—1—228)

**გამოვიდა გასასყიდად**
**გ. ჩარკვიანის** მიერ შედგენილი
და „სორაპნის“ ამხ. გამოცემული




ქართველთათვის, სომეხთათვის, კათოლიკეთათვის, მაჰმადიანთათვის და ებრაელთათვის.
კალენდარში მოთავსებულია მრავალი სურათი და კარიკატურა. ფასი 40 კაპ.

**სახალხო კალენდარი 1910 წ.**

შედგენილი მ. გაჩეჩილაძის მიერ.
**ფასი 20 კაპ.**
ვინც ერთად ბევრს იყიდის, მას პროცენტები დაეთმობა.
ადრესი: Типографія „Сорапанъ“, Гачечиладзе. (15—10)

**მიიღება ხელის მოწერა 1910 წლის ყოველ თვიურ სალიტერატურო და საზოგადო პოლიტიკურ ჟურნალ**

**„ნოვოე ობრაზოვანიე“-ზე**

(НОВОЕ ОБРАЗОВАНІЕ).

ჟურნალი უპარტიო, კულტურულ-დემოკრატიული ორგანო იქნება და ფართოდ დააყენებს შემდეგ განყოფილებებს: 1. **ლიტერატურულს,** 2. **პოლიტიკურს,** 3. **კრიტიკულს,** 4. **სამეცნიერო-პოპულიარულს** და აგრეთვე შინაური და საგარეო პოლიტიკის, ლიტერატურის, პროვინციის ცხოვრებისა და სახელმწიფო სათათბიროს მოღვაწეობის განხილვას.
ჟურნალში იქნება განყოფილებანი: პედაგოგიური და საეკლესიო-საზოგადოებრივი (ბელეტრისტიკა, წერილები, მიმოხილვები)
ჟურნალი „ნოვოე ობრაზოვანიე“ დიდ ყოველ თვიურ ჟურნალების პროგრამით გამოვა და მიმართულება ისეთივე ექნება, როგორიც წინად ჟურნალ „ობრაზოვანიე“-ს ჰქონდა განსვენებულ ა. ი. ოსტროგორსკის რედაქტორობის დროს. მონაწილეობას მიიღებენ და ითანამშრომლებენ ცნობილი ლიტერატორები და მეცნიერები.

**ხელის მოწერის პირობები:**

| | 1 წლით: | 1/2 წლით: | 3 თვით: | 1 თვით |
|---|---|---|---|---|
| გაგზავ. რუსეთში | 7 მან. | 3 მ. 50 კ. | 1 მ. 75 კ. | 60 კაპ. |
| საზღვარ-გარედ | 10 მ. | 5 მან. | 2 მ. 50 კ. | 1 მ. 25 კ. |

**ხელის მოწერა მიიღება:**

პეტერბურგში, ზაბალკონსკის პროსპ., სახ. N 30, ჟურნალ „ნოვოე ობრაზოვანიე“-ს კანტორაში; აგრეთვე რუსეთის ყველა დიდ წიგნის მაღაზიაში, რომლებიც ხელის მოწერის ფულიდან 5% თავისთვის იტოვებენ. (3—უ.—1)

# კახეთის მევენახეთა ამხანაგობა

**✦ძ მ ო ბ ა✦**

ამით აცხადებს, რომ კახეთში ღვინის მოუსავლობისა გამო ამა 1909 წ. 5 დეკემბრიდან შემდეგ ფასებში გაიყიდება ღვინოები
**თითო ბოთლი** № 1—25 კ., № 2—30 კ., № 3—50 კ. № 4—80 კ.
№ 5—1 მანეთი.
მუდმივ მუშტრებს და ნარდათ მოვაჭრებს %/% დაეთმობათ შეთანხმებით.
Адресъ: Тифлисъ, „Дзмоба“, Телефонъ № 1036. (3—562—1)


სტამბა „სინათლე“ რუსის ქუჩა № 3.
რედაქტორ-გამომცემელი ი. ს. აგლაძე